

საქართველოში


**COVID-19** -ით

გამოწვეული სიბუჯის

სწრაფი გენდარული

შეფასება

გამოქოთხვის შემდეგ ტაღა



COVID-19

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადებულია CRRC-Georgia-ს მიერ, „კარგი მმართველობა გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“ პროექტის ფარგლებში, რომელიც ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით UN Women ახორციელებს და “გაეროს ერთობლივი პროგრამის გენდერული თანასწორობისთვის“ ხელშეწყობით, რომელსაც შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით UNDP, UNFPA და UN Women ახორციელებს. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო ორგანიზაციების მოსაზრებებს.

**Copyright © UNDP, UNFPA, UN Women**

საქართველო, 2021 წ.

საავტორო უფლებები დაცულია.

გამოცემულია საქართველოში.



# სარჩევნი

დიაგრამების ჩამონათვალი .....	4
რეზიუმე .....	6
შესავალი .....	9
სიტუაციის მიმოხილვა .....	13
მეთოდოლოგია .....	15
კვლევის შედეგები .....	16
ინფორმაცია კორონავირუსის შესახებ .....	16
ინფორმაციის წყაროები .....	17
მიღებული ინფორმაცია .....	19
ინფორმაციის ხარისხის აღქმა .....	20
დასაქმება, შემოსავალი და საარსებო საშუალებები .....	23
დასაქმება კორონავირუსის პანდემიამდე .....	24
ცვლილებები ანაზღაურებად სამუშაოში .....	27
ცვლილებები თვითდასაქმებასა და ბიზნეს საქმიანობაში .....	31
საარსებო წყაროები .....	31
ფინანსური და სხვა სახის დახმარება .....	38

საოჯახო საქმეების გადანაწილება .....	40
საოჯახო საქმეებზე პასუხისმგებლობის განაწილება .....	43
კორონავირუსის პანდემიის ზეგავლენა საოჯახო საქმეებისთვის დათმობილ დროზე .....	45
კორონავირუსის პანდემიის შედეგად გამოწვეული აუნაზღაურებელი საოჯახო საქმიანობის სტრუქტურის ცვლილება .....	48
კორონავირუსის პანდემიის შედეგად გამოწვეული აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომის სტრუქტურის ცვლილება .....	49
ჯანმრთელობა და სერვისებზე ხელმისაწვდომობა .....	52
კორონავირუსის პანდემიის ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზეგავლენა .....	53
სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მომსახურებები .....	55
უსაფრთხოება და დისკრიმინაციის შემთხვევები .....	59
დისკრიმინაცია .....	60
ოჯახში ძალადობა .....	61
ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების მომსახურებების შესახებ ინფორმირებულობა .....	61
დისტანციური სწავლება .....	63
სოციალიზაცია .....	65
დასკვნა .....	67
ბიბლიოგრაფია .....	70

# დიაგრამების ჩამონათვალი

## დიაგრამა 1:

სწრაფი გენდერული შეფასების პრაქტიკული სამუშაოს თარიღები და კორონავირუსის შემთხვევების ყოველდღიური სტატისტიკა საქართველოში

## დიაგრამა 2:

რომელ ძირითად საინფორმაციო წყაროს მიმართავთ კორონავირუსის შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად (რისკები, რეკომენდირებული პრევენციული ღონისძიებები) (%)

## დიაგრამა 3:

როგორ შეაფასებდით მიღებულ ინფორმაციას(%)? სწრაფი გენდერული შეფასების პირველი და მეორე ტალღა

## გვერდი

11

17

20

## დიაგრამა 4:

დასაქმების მდგომარეობა სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (%)

24

## დიაგრამა 5:

ყველაზე უკეთ როგორ აღწერდით თქვენი დასაქმების სტატუსს ჩვეულებრივი კვირის განმავლობაში კორონავირუსის გავრცელებამდე (%)?

26

## დიაგრამა 6:

კორონავირუსის გავრცელების შემდეგ შეიცვალა თუ არა თქვენი ანაზღაურებადი სამუშაოს საათები (%)? სწრაფი გენდერული შეფასების 2020 წლის მაისისა და ოქტომბრის ტალღა

27

## დიაგრამა 7:

შეიცვალა თუ არა ანაზღაურებადი სამუშაოს საათები კორონავირუსის პანდემიის შედეგად (%)? დასაქმების სტატუსის მიხედვით, სწრაფი გენდერული შეფასების 2020 წლის მაისისა და ოქტომბრის ტალღა

29

## დიაგრამა 8:

რა ზეგავლენა იქონია კორონავირუსმა ჩამოთვლილ პირად რესურსებზე?

32

## დიაგრამა 9:

ალტერნატიული რესურსების გამოყენების ალბათობა შემცირებული შემოსავლის კომპენსირებისათვის (%). სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები აღნიშნულია რუხი ფერით

35

## დიაგრამა 10:

პროდუქტიული საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლის შემცირების ალბათობა (%). სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები შეფერილია რუხად.

37



**დიაგრამა 11:**

შეიცვალა თუ არა ჩამოთვლილ აქტივობებზე თქვენ მიერ დათმობილი დრო კორონავირუსის გავრცელებამდე პერიოდთან შედარებით? (%)

41

**დიაგრამა 12:**

შეიცვალა თუ არა ჩამოთვლილ აქტივობებზე თქვენ მიერ დათმობილი დრო კორონავირუსის გავრცელებამდე პერიოდთან შედარებით? (%) მხოლოდ ის რესპონდენტები, რომლებმაც დაასახელეს, რომ ამ საქმიანობით არიან დაკავებული

44

**დიაგრამა 13:**

შეიცვალა თუ არა თქვენთვის ჩვეული დროის განაწილება ჩამოთვლილ საქმიანობებთან მიმართებაში კორონავირუსის შედეგად? (%)

45

**დიაგრამა 14:**

საოჯახო საქმეების ინდექსის პროგნოზირებული რაოდენობა. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები შეფერილია რუხად

47

**დიაგრამა 15:**

კორონავირუსის გავრცელების შემდეგ რომელ საქმიანობებს უთმობთ ძირითად დროს (%)?

50

**დიაგრამა 16:**

რესპონდენტის ფსიქოლოგიურ/ფსიქიკურ/ემოციურ ჯანმრთელობაზე ზეგავლენის პროგნოზირებადი ალბათობა (%). მნიშვნელოვანი განსხვავებები აღნიშნულია რუხი ფერით

54

**დიაგრამა 17:**

კორონავირუსის შედეგად, პირადად თქვენ თუ შეგექმნათ რაიმე სირთულე სასიცოცხლო მნიშვნელობის მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით (%)? სწრაფი გენდერული შეფასების 2020 წლის მაისისა და ოქტომბრის ტალღები

56

**დიაგრამა 18:**

საქართველოში კორონავირუსის პანდემიის გავრცელების შემდეგ ხომ არ შეგიძინევიათ რაიმე სახის დისკრიმინაცია, ან არასწორად ჩამოყალიბებული შეხედულება (%)?

60

**დიაგრამა 19:**

ინფორმირებულობის ინდექსის პროგნოზირებული მაჩვენებელი. მნიშვნელოვანი განსხვავებები აღნიშნულია ყავისფრად

62

**დიაგრამა 20:**

რა იყო ყველაზე დიდი გამოწვევა თქვენი ოჯახისთვის ბავშვების ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებით? (%)

64

**დიაგრამა 21:**

სოციალიზაცია სხვა ადამიანებთან გასული კვირის განმავლობაში (%)

65

**დიაგრამა 22:**


რესპონდენტების პროპორცია, ვისაც სხვა ადამიანებთან ჰქონდა კონტაქტი (%). „სი-არ-არ-სი საქართველოს“ კორონავირუსის მონიტორინგის და სწრაფი გენდერული შეფასების 2020 წლის ოქტომბრის ტალღის მონაცემები. ერთვარსკვლავიანი აღნიშვნა მიუთითებს სი-არ-არ-სიის კორონავირუსის მონიტორინგის შედეგებს, ორმაგი ვარსკვლავი კი - სწრაფი გენდერული შეფასების 2020 წლის ოქტომბრის ტალღას


66



COVID-19

# ကပ်ရောဂါ





## ❑ ეპიდემიური საკითხები და საარსებო საშუალებები

- 2020 წლის ოქტომბრის კვლევაში გამოკითხული ქალებისა და კაცების 17%-მა აღნიშნა, რომ 2020 წლის მარტიდან კორონავირუსის ეპიდემიის გავრცელების შემდეგ სამსახური დაკარგა. საქართველოს მოსახლეობის 32%-ის თქმით კი, მათი სამუშაო საათები შემცირდა, თუმცა სამუშაოს შენარჩუნება შეძლეს. საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი (48%) აცხადებს, რომ აღნიშნულ ფაქტს ანაზღაურებად სამუშაოსთან მიმართებაში ცვლილება არ გამოუწვევია. საგულისხმოა, რომ გამოკითხული ქალები და კაცები ერთნაირად ფიქრობენ.
- 2020 წლის გამოკითხვის შედეგებთან შედარებით, ნაკლებია იმ ადამიანთა წილი, რომლებმაც სამუშაო დაკარგეს. ეს, შეიძლება, იმით იყოს განპირობებული, რომ მკაცრი შეზღუდვების მოხსნის შემდეგ მაინც შეინიშნება სამუშაო ადგილების აღდგენის ნელი ტენდენცია.
- კვლევა აჩვენებს, რომ გამოკითხვის წინა ტალღის შედეგების მსგავსად, კორონავირუსის პანდემია ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს უფრო მეტად შეეხო. ეთნიკურად ქართველებისგან განსხვავებით, მათ სამჯერ უფრო ხშირად აღნიშნეს სამსახურის დაკარგვის შესახებ.
- რესპონდენტები, რომლებიც რაიმე სახის სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდნენ, ყველაზე მეტად დაზარალდნენ. იმ მეწარმეთა 29%-მა, რომლებიც სხვებსაც ასაქმებდნენ, პანდემიის შედეგად სამსახურების დაკარგვის შესახებ განაცხადა. კომპანიებში, ბიზნეს სექტორში, ოჯახში დასაქმებულ და თვითდასაქმებულ რესპონდენტებს პანდემია შედარებით ნაკლებად შეეხო.
- საქართველოს დასაქმებულ მოსახლეობას აღეგებს, რა ბედი ეწევა მათ შემოსავალს, თუკი მუშაობას ვერ შეძლებენ. უმეტესობა თვლის, რომ მინიმუმ, ორი კვირის მანძილზე უმუშევრობის შემთხვევაში ანაზღაურებას ვერ მიიღებს.

## ❑ აუნაზღაურებელი საოჯახო და ზრუნვის შრომა

- სწრაფი გენდერული შეფასების პირველი ტალღისგან განსხვავებით, ოქტომბრის გამოკითხვა აჩვენებს, რომ ქალები და კაცები თანაბრად აღნიშნავენ აუნაზღაურებელი საოჯახო საქმიანობის და ზრუნვის შრომის ვალდებულებების ზრდას. მართალია, საოჯახო საქმეებზე პასუხისმგებლები, ძირითადად, მაინც ქალები არიან, მაგრამ ისინიც, ვინც ამ ვალდებულებას ინაწილებენ, სამუშაოში თანაბრად არიან ჩართული.

- აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომა მნიშვნელოვნად გაიზარდა მრავალრიცხოვან და ბავშვიან ოჯახებში. ბავშვის მოვლა, ძირითადად, ქალის მოვალეობად რჩება.

### ❑ ფსიქიკური ჯანმრთელობა

- Covid-19-ის პანდემიამ დიდად იმოქმედა საქართველოს მოსახლეობის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. მოსახლეობის თითქმის ნახევარმა (50%) განაცხადა, რომ კორონავირუსის პანდემიამ მათ ფსიქოლოგიურ, ემოციურ ან ფსიქიკურ მდგომარეობაზე იმოქმედა.
- უფრო მეტად ქალები (75%), ვიდრე - კაცები (40%) აღნიშნავენ, რომ პანდემიამ მათზე ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოახდინა. ბავშვებიანი რესპონდენტები უფრო მეტად განიცდიდნენ სტრესს, შფოთვისას ან ფსიქიკურ პრობლემებს.

### ❑ სერვისებისა და პროდუქტების მისაწვდომობა

- 2020 წლის მაისის კვლევასთან შედარებით, ნაკლებმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სერვისებზე, როგორცაა საკვები, სამედიცინო დახმარება ან სოციალური მხარდაჭერა, ხელი არ მიუწვდებოდა.
- შეინიშნება ტენდენცია, რომ მსგავსი პრობლემები ქალებსა და უმუშევარ რესპონდენტებს უფრო მეტად შეეხო.

### ❑ უსაფრთხოება და ოჯახში ძალადობის შემთხვევები

- საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 11%-ს სმენია, ან პირადად გამხდარა დისკრიმინაციის მსხვერპლი მას შემდეგ, რაც კორონავირუსის პანდემია დაიწყო.

- უფრო მეტი ქალი (23%), ვიდრე მამაკაცი (17%) აღნიშნავს, რომ სმენია ან უგრძვნია ოჯახში ძალადობის მომატებული შემთხვევების შესახებ.
- საქართველოს მოსახლეობა, უმეტესწილად, ფლობს ინფორმაციას ძალადობის მსხვერპლთა დახმარების არსებობის შესახებ, თუმცა ეს რიცხვი საგრძნობლად მცირეა ეთნიკური უმცირესობებისა და უმაღლესი განათლების არმქონე მოსახლეობაში.

### ❑ დისტანციური სწავლება

- იმ რესპონდენტების 96%-მა, რომელთაც ოჯახებში სკოლის ასაკის ბავშვები ჰყავთ, აღნიშნა, რომ სასწავლო მასალებზე ინტერნეტით მიუწვდებოდათ ხელი. მათი დაახლოებით 60% სწავლის პროცესში ისეთ პრობლემებს წააწყდა, როგორცაა: ბავშვების კონცენტრირების სიძნელე, არასტაბილური ინტერნეტი, ონლაინ გაკვეთილებისთვის მასწავლებელთა მოუმზადებლობა და სხვა.


### ❑ სოციალიზაცია

- ოქტომბრის დასაწყისში, სოციალიზაციის მიზნით, მოსახლეობის დაახლოებით 25% სხვა ადამიანებთან იმყოფებოდა სტუმრად. დაახლოებით 61%-მა პროცენტმა კი აღნიშნა, რომ საკუთარ სახლს გარეთ ნახეს სხვა ადამიანები.
- 54 წლამდე ადამიანებს, კაცებს, დასაქმებულებს და მათ, ვისაც ოჯახში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ჰყავთ, სახლიდან გასვლა უფრო ხშირად უწევდათ.



COVID0-19

# შესავალი





# შესავალი

COVID-19 პანდემიამ ძირფესვიანად შეცვალა საზოგადოების ფუნქციონირება. მას შემდეგ, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის თებერვლიდან მსოფლიო პანდემიის შესახებ გამოაცხადა, დედამიწაზე 59 მილიონი ადამიანი დაინფიცირდა, ხოლო 1.4 მილიონი- გარდაიცვალა<sup>1</sup>. ვირუსმა უდიდესი ზიანი მიაყენა საზოგადოებას. 29 თებერვლიდან დღემდე, საქართველოს 100 ათას მოქალაქეზე მეტი დაინფიცირდა და 1000-ზე მეტი გადაიცვალა<sup>2</sup>. მართალია, საქართველოს მთავრობამ კორონავირუსის გავრცელების პირველი ტალღა ქმედითი სამთავრობო რეაგირებითა და მკაცრი შეზღუდვის შემოღებით საკმაოდ ეფექტურად შეაჩერა, გასული ზაფხულიდან მაინც შეინიშნება შემთხვევების სწრაფი ზრდა.



სწრაფი გენდერული შეფასების პირველი ტალღის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, რომელიც ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით გაეროს ქალთა ორგანიზაციამ 2020 წლის მაისში ჩაატარა, წინამდებარე ანგარიშის მიზანი საქართველოზე კორონავირუსის გავრცელების მზარდი ზეგავლენის შესწავლაა. „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის“ მიერ გაეროს განვითარების პროგრამის, გაეროს მოსახლეობის ფონდისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციისთვის მომზადებული კვლევის ამოცანაა, საქართველოს მთავრობას მიაწოდოს მონაცემებზე დაფუძნებული ინფორმაცია პანდემიის საპასუხო პოლიტიკის დაგეგმვისთვის და გამოცდილება გაუზიაროს კრიზისის მართვის თვალსაზრისით.

🔍 | COVID-19 |

1 Johns Hopkins University Medicine, 'COVID-19 Dashboard by the Center for Systems Science and Engineering (CSSE)', 2020, <https://coronavirus.jhu.edu/map.html>.

2 National Centre for Disease Control and Public Health, 'Confirmed Cases of COVID-19 in Georgia', 2020, <https://www.ncdc.ge/Pages/User/News.aspx?ID=137c9b94-0be5-4b2b-bfd4-135fa4ee00de>.






**დიაგრამა 1**

*სწრაფი გენდერული შეფასების პრაქტიკული სამუშაოს თარიღები და კორონავირუსის შემთხვევების ყოველდღიური სტატისტიკა საქართველოში*

ანგარიშში თავმოყრილია 2020 წლის 14-20 ოქტომბრის პერიოდში საქართველოს მასშტაბით გამოკითხული მოსახლეობის კვლევის ძირითადი ასპექტები. ტექსტში, ასევე, წარმოდგენილია მტკიცებულებაზე დაფუძნებული რეკომენდაციები, რომლებიც ისეთი ეფექტური პოლიტიკის გატარებაში დაეხმარება მთავრობას, რომელიც ხელს შეუწყობს COVID-19 პანდემიის ზეგავლენის შემცირებას საქართველოში მცხოვრებ ქალებსა და კაცებზე. აღსანიშნავია, რომ მოპოვებული მონაცემები კორონავირუსის მასიურად გავრცელების დაწყებამდე, ოქტომბრის ბოლოსა და ნოემბრის დასაწყისისთვის არსებულ სიტუაციას ასახავს.



### ანგარიში მიზნად ისახავს, უპასუხოს შემდეგ კითხვებს:

რა ზეგავლენა იქონია პანდემიამ საქართველოს მოსახლეობის ფინანსურ უსაფრთხოებაზე და საარსებო საშუალებებზე?

რა საჭიროებები, გამკლავების მექანიზმები და შესაძლებლობები არსებობს საქართველოს მოსახლეობისთვის მათი შემოსავლის წყაროს შესანარჩუნებლად?

როგორ იმოქმედა კორონავირუსმა ქალებსა და კაცებს შორის აუნაზღაურებელი საოჯახო და ზრუნვის შრომის გადანაწილებაზე?

რა ზეგავლენა იქონია დაწესებულმა შეზღუდვებმა გადაუდებელი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სოციალური და ჯანდაცვის სერვისების, ასევე- განათლების ხელმისაწვდომობაზე და რა კონკრეტულ დაბრკოლებებს აწყდებიან მოქალაქეები?


დოკუმენტის სტრუქტურა ასეთია: თავდაპირველად მოყვანილია კორონავირუსის გავრცელების სიტუაციური ანალიზი და მთავრობის მიერ განხორციელებული ზომების ვრცელი შეჯამება; შემდგომ, დახასიათებულია გამოყენებული მეთოდოლოგია; მომდევნო ნაწილებში თავმოყრილია გამოკითხვის შედეგები საოჯახო საქმიანობის, დისკრიმინაციის შემთხვევების, სოციალიზაციისა და დისტანციური სწავლების შესახებ. დაბოლოს, ანგარიში კვლევის ძირითადი შედეგების შეჯამებით სრულდება.

# სიტუაციის მიმოხილვა

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის თებერვალს ახალი კორონავირუსი (COVID-19) გლობალურ პანდემიად გამოაცხადა. მას შემდეგ, მსოფლიოს მასშტაბით, 59 მილიონი ადამიანი დაინფიცირდა, ხოლო 1.4 მილიონი გარდაიცვალა ვირუსის-გან<sup>3</sup>. 29 თებერვლიდან მოყოლებული, როცა საქართველოში კორონავირუსის პირველი, იმპორტირებული შემთხვევა დაფიქსირდა, ქვეყანაში ამ დაავადებით 100,000-ზე მეტი მოქალაქე დაინფიცირდა, ხოლო 1000-ზე მეტი- ემსხვერპლა<sup>4</sup>.

საქართველოს მთავრობამ ვირუსის გავრცელების შესაკავებლად არაერთი ზომა მიიღო. გაზაფხულზე დაიხურა საგანმანათლებლო დაწესებულებები და სამსახურები, გამოცხადდა ორთვიანი ღამის კომენდანტის საათი. ვირუსის გავრცელების შემდეგ, მთავრობამ ის მუნიციპალიტეტები ჩაკეტა წერტილოვნად, სადაც შემთხვევების ყველაზე დიდი რაოდენობა დაფიქსირდა. შედეგად, ზაფხულის დასაწყისისთვის, ვირუსის გავრცელების დონე მინიმუმამდე დავიდა.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ ვირუსის პირველი ტალღის შეკავებაში წარმატებას მიაღწია<sup>5</sup>, ამას მალევე მოჰყვა ნეგატიური შედეგები. როგორც პირველი სწრაფი გენდერული შეფასებისას გამოიკვეთა, საქართველოს მოსახლეობის 32%-მა სამსახური დაკარგა და სამეწარმეო საქმიანობით დაკავებული პირების უმრავლესობას შემოსავალი შეუმცირდა<sup>6</sup>. გლობალური ტენდენციის მსგავსად, გაუარესდა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი<sup>7</sup>, ხოლო საქართველოს




3 Johns Hopkins University Medicine, 'COVID-19 Dashboard by the Center for Systems Science and Engineering (CSSE).'

4 National Centre for Disease Control and Public Health, 'Confirmed Cases of COVID-19 in Georgia'.

5 Isabelle Khurshudyan, 'In Georgia, Tourism's "new Reality" Includes Selective Guest List and Pitch as Healthy Haven', The Washington Post, 30 May 2020, [https://www.washingtonpost.com/world/europe/on-the-black-sea-georgia-rebrands-itself-as-a-holiday-haven-from-the-pandemic/2020/05/29/a41ffd0e-9f6d-11ea-be06-af5514ee0385\\_story.html](https://www.washingtonpost.com/world/europe/on-the-black-sea-georgia-rebrands-itself-as-a-holiday-haven-from-the-pandemic/2020/05/29/a41ffd0e-9f6d-11ea-be06-af5514ee0385_story.html).

6 CRRC-Georgia, 'Rapid Gender Assessment of COVID-19 Situation in Georgia' (Tbilisi: UN Women, 2020), <https://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2020/rga%20unw-geo.pdf?la=ka&vs=0>.

7 National Statistics Office of Georgia, 'Gross Domestic Product (GDP)', 2020, <https://www.geostat.ge/en/modules/categories/23/gross-domestic-product-gdp>.



ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორები, როგორცაა ტურიზმი- გაჩერდა<sup>8</sup>. შედეგად, საქართველოს ხაზინის შემოსავალი 1.8 მილიარდი ლარით შემცირდა<sup>9</sup>.

კორონავირუსის გავრცელებით შექმნილი ეკონომიკური გამოწვევების საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმის განხორციელების გზით, შესაბამისი ზომები მიიღო<sup>10</sup>. მათ, ვინც სამსახური დაკარგეს, 1 200 ლარის ოდენობის კომპენსაცია მიიღეს. არაფორმალურად მომუშავეებს 300 ლარის ოდენობის დანმარება, ხოლო დამსაქმებლებს სხვადასხვა სახის საგადასახადო შეღავათი დაუწესდათ. სოციალური დანმარების პროგრამები გაფართოვდა და მოსახლეობის უფრო ფართო ჯგუფები მოიცვა.

საქართველოს მთავრობამ ეკონომიკის გაჩერებით ბიზნესისთვის მიყენებული ზიანის შესამცირებლად არაერთი ზომა მიიღო. კომპანიებმა დამატებითი ღირებულების გადასახადის უკან დაბრუნების პროგრამით ისარგებლეს; მთავრობამ საშემოსავლო და ქონების გადასახადისგან დროებით გაათავისუფლა კომპანიები; შემუშავდა ბიზნესის ხელშეწყობის ახალი სქემები.

მიუხედავად ამისა, ზეწოლა, გახსნილიყო ეკონომიკა, სულ უფრო იზრდებოდა. იმის გამო, რომ ბევრი ქართული ბიზნესის წილი პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება ტურიზმს, შეზღუდვების მოხსნაზე სულ უფრო მეტი ადამიანი საუბრობდა. შეზღუდვების შემსუბუქება ზაფხულის ტურისტული სეზონისათვის დაიწყო, თუმცა, სექტემბრის დასაწყისში, კორონავირუსის შემთხვევების რაოდენობამ მკვეთრად მოიმატა. მკაცრი ზომების უგულებელყოფასთან დაკავშირებით მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეკონომიკური და პოლიტიკური მოსაზრებით იყო განპირობებული, მაგრამ შედეგად, კორონავირუსის შემთხვევებმა მკვეთრად იმატა. ქვეყანამ დაავადებულთა რიცხვით სწრაფად გადაუსწრო მეზობელ აზერბაიჯანს და ამჟამად, ერთ სულ მოსახლეზე შემთხვევების რაოდენობით, მსოფლიო კლასიფიკაციას ლიდერობს<sup>11</sup>.

8 Davit Keshelava and Yasya Babych, 'Riding Out the Pandemic Storm: Trends, Projections and Uncertainties' (Tbilisi: International School of Economics, 2020).

9 Government of Georgia, 'Anti-Crisis Economic Plan', 2020, <https://stopcov.ge/ka/Gegma>.

10 იქვე

11 The New York Times, 'Covid World Map: Tracking the Global Outbreak', The New York Times, 28 January 2020, sec. World, <https://www.nytimes.com/interactive/2020/world/coronavirus-maps.html>.

# გეთოდოლოგია

წინამდებარე გამოკითხვა საქართველოში კორონავირუსით გამოწვეული სიტუაციის გაეროს ქალთა ორგანიზაციის სწრაფი გენდერული შეფასების კვლევის მეორე ნაწილია<sup>12</sup>. განმეორებითი კვლევის გამოკითხვის ინსტრუმენტი, უმეტეს შემთხვევაში, ემთხვევა პირველი ტალღის დროს გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროგრამის „თითოეული ქალი და გოგო მნიშვნელოვანია“ მიერ შემუშავებული კორონავირუსის პანდემიის ქალებსა და გოგოებზე ზეგავლენის შეფასების კითხვარს. კონტექსტიდან გამომდინარე, მხოლოდ მცირე ცვლილებები შევიდა.

კვლევის სავსე სამუშაოები 2020 წლის 14-20 ოქტომბერს ჩატარდა. რესპონდენტები შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შეირჩა და ტელეფონით გამოიკითხა. მონაცემები საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიების მოსახლეობის წარმომადგენლობითია, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გამოკლებით.

„კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა - საქართველომ“ 1 076 რესპონდენტი გამოკითხა. გამოკითხვის მაჩვენებელმა 27% (ამერიკის საზოგადოებრივი აზრის კვლევის ასოციაციის მიხედვით, მოკასუხეთა პროცენტი 17 994 მცდელობიდან) შეადგინა. ინტერვიუები ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე ჩატარდა. თითოეული ინტერვიუ, საშუალოდ, 14 წუთს გრძელდებოდა.

გამოკითხვის შედეგები შეწონილია. მონაცემები სქესის, ასაკობრივი ჯგუფის, გეოგრაფიული არეალისა და დასახლების ტიპის მიხედვით შეიძლება, გაანალიზდეს. შეფასებების კორექტირებისთვის გამოყენებულია 2014 წლის საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები. ცდომილების საშუალო ზღვარი, შეფასების პროპორციის მიხედვით, 3-5%-ს არ აღემატება.

პრაქტიკულ სამუშაოებამდე საპილოტე გამოკითხვა ჩატარდა და კვლევის ინსტრუმენტიც შესაბამისად დაკორექტირდა. ინტერვიუებმა სიდრმისეული ტრენინგი გაიარეს კითხვარის თეორიის, პრაქტიკული სამუშაოებისა და ეთიკური პროცედურების შესახებ.

„სი-არ-არ-სი-საქართველო“ მონაცემების შეგროვებისას მკაცრად მისდევს უმაღლესი ეთიკის სტანდარტებს. ორგანიზაცია იცავს საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ დადგენილ წესებს (კანონი „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“, „კანონი სახელმწიფო სტატისტიკის შესახებ“) და ეთიკის ნორმებს, რომლებიც აღიარებულია საერთაშორისო პროფესიული ორგანიზაციების მიერ, როგორცაა „ამერიკის საზოგადოებრივი აზრის კვლევის ასოციაცია“ (AAPOR) და „საზოგადოებრივი აზრისა და მარკეტინგული კვლევების ევროპული ასოციაცია“ (ESOMAR). „სი-არ-არ-სი-საქართველო“ „საქართველოს საზოგადოებრივი აზრისა და ბაზრის კვლევის ასოციაციის“ დამფუძნებელი წევრი და ეთიკის ქარტიის ხელმძღვანელია.

12 CRRC-Georgia, 'Rapid Gender Assessment of COVID-19 Situation in Georgia'.



# კვლევის შედეგები




## ინფორმაცია კორონავირუსის შესახებ


ამ ნაწილში წარმოდგენილია ინფორმაციის წყაროები, რომელთა საშუალებით საქართველოს მოსახლეობა კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით ინფორმაციას იღებს. ტექსტი აღწერს ინფორმაციის ძირითად წყაროებს და იმას, თუ როგორ აღიქვამენ რესპონდენტები მას ხარისხისა და დროულობის თვალსაზრისით.



# ინფორმაციის წყაროები



საქართველოს მოსახლეობა კორონავირუსის შესახებ კარგადაა ინფორმირებული. მოსახლეობის 2%-ის გარდა, ყველამ აღნიშნა, რომ ჰანდელების შესახებ ინფორმაციას იღებს. 67%-მა ახალი ამბების ძირითადი წყაროდ ტელევიზია დაასახელა, მას მოსდევდა სოციალური მედია (25%) და სხვა წყაროები, როგორცაა სამთავრობო ვებგვერდები, რადიო და საგაზეთო განცხადებები, თემის წევრები და ა.შ. (8%).



დიაგრამა 2

რომელ ძირითად საინფორმაციო წყაროს მიმართავთ კორონავირუსის შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად? (რისკები, რეკომენდირებული პრევენციული ღონისძიებები) (%)



ქალები და კაცები თითქმის იდენტური პროპორციით სარგებლობდნენ ტელევიზიით, სოციალური ქსელებითა და სხვა წყაროებით კორონავირუსის შესახებ ინფორმაციის მიღებისას. ქალების 66 და კაცების 67 % ამჯობინებდა ტელევიზიას; კაცების მეოთხედი და ქალების 26% პროცენტი სოციალურ ქსელებს იყენებდა, ხოლო ქალებისა და კაცების თანაბარი რაოდენობა (8%) კორონავირუსთან დაკავშირებულ ინფორმაციას სხვა წყაროებიდან იღებდა.

საქართველოს მოსახლეობასაინფორმაციო წყაროების მოხმარების თვალსაზრისით ასაკობრივი ჯგუფების მიხედვითაც განსხვავდება. 34 წლამდე ახალგაზრდები უფრო სოციალურ ქსელებს (48%) მოიხმარენ, ვიდრე - ტელევიზორს (43%). ტელევიზიით სარგებლობა იმატებს და სოციალური ქსელების გამოყენება იკლებს უფროსი ასაკის მოსახლეობაში. მაგალითად, 35-44 წლამდე საქართველოს მოსახლეობის 67% სარგებლობს ტელევიზორით, ხოლო 24% სოციალურ მედიას იყენებს კორონავირუსზე სიახლეების გასაგებად. ამავდროულად, ტელევიზორის მოხმარება 95%-ს აღწევს ასაკოვან ჯგუფებში (65 წელი და ზევით), სოციალური მედიის მოხმარება კი ამ ჯგუფში 3%-მდე მცირდება.

თბილისის, სხვა ქალაქებისა და სოფლად მცხოვრებლებს მედიის მოხმარების განსხვავებული ჩვევები აქვთ. მაშინ, როდესაც თბილისელების უმეტესობა კვლავ ტელევიზორზეა დამოკიდებული, რათა კორონავირუსის შესახებ (57%) ახალი ამბები შეიტყონ, ტელევიზიის მოხმარება კიდევ უფრო მაღალია თერთმეტი პროცენტული პუნქტით სხვა ქალაქებში და თექვსმეტი პროცენტული პუნქტით - სოფლად მცხოვრებელთა შორის. სოციალური მედიის მოხმარების თავისებურებები საპირისპიროა. თბილისის მოსახლეობის ერთი მესამედი კორონავირუსზე ახალი ამბების მისაღებად სოციალურ მედიას იყენებს მაშინ, როდესაც ინფორმაციის ამ წყაროთი სხვა ქალაქების მოსახლეობის მეოთხედი და სოფლის მცხოვრებლების მეხუთედი სარგებლობს.

როგორ შეიცვალა სიტუაცია წინამდებარე კვლევის 2020 წლის მაისის ტალღასთან შედარებით? საქართველოს მოსახლეობის მცირე რაოდენობა იღებდა კორონავირუსის შესახებ ახალ ამბებს ტელევიზიიდან, რადგან სატელევიზიო მომხმარებელთა წილი თითქმის ათი პროცენტული ნიშნულით შემცირდა. სანაცვლოდ, სოციალური ქსელების გამოყენება ოთხი პროცენტული პუნქტით გაიზარდა. საქართველოს მოსახლეობის წილმა კი, რომელიც სხვა წყაროებს იყენებს, ხუთი პროცენტული პუნქტით მოიმატა. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ტენდენცია გეოგრაფიულ და დემოგრაფიულ ჯგუფებშიც გვხვდება.

# მიღებული ინფორმაცია

მათ, ვინც განაცხადა, რომ ინფორმაციას იღებდნენ კორონავირუსზე, ჰკითხეს, თუ რა შინაარსის სიახლეებს ეცნობოდნენ, კერძოდ - აქვთ თუ არა უფრო მეტი ინფორმაცია ეპიდემიოლოგიური სიტუაციის, პრევენციული ზომების, სამედიცინო დაწესებულებების, რისკჯგუფების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სახელმწიფო ანტიკრიზისული გეგმის შესახებ. როგორც რესპონდენტების უმრავლესობამ განაცხადა, ყველა ჩამოთვლილ საკითხზე იღებდნენ ინფორმაციას. გამოკითხულთა 95%-მა სიახლეები შეიტყო ეპიდემიოლოგიური სიტუაციის შესახებ; 94%-მა გაიგო, როგორ უნდა აიცილოს თავიდან კორონავირუსის გავრცელება; 91%-მა - რისკჯგუფების შესახებ, როგორებიცაა მაგალითად, ორსული ქალები, მოხუცები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები; 84%-

მა ინფორმაცია გაიგო იმ სამედიცინო დაწესებულებების შესახებ, რომლებიც კორონავირუსთან დაკავშირებული სერვისების მიწოდებას უზრუნველყოფენ, ხოლო 82% დაინტერესებული იყო სკოლის მოსწავლეებისთვის განკუთვნილი დისტანციური სწავლების პროგრამებით. საქართველოს მოსახლეობის შედარებით მცირე ნაწილმა (77%) იცოდა სახელმწიფო ანტიკრიზისული გეგმის შესახებ.


ქალებსა და კაცებს შორის მიღებული ინფორმაციის შინაარსის თვალსაზრისით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ დაფიქსირებულა. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდა ახალი ამბები მოსწავლეთა დისტანციური საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომელზეც ქალების 84%-მა და კაცების 79%-მა განაცხადა. თბილისის, სხვა ქალაქებისა და სოფლის დასახლებების მცხოვრებთა შეხედულებებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა არ ყოფილა.

გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაცია ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ოდნავ განსხვავდება შინაარსობრივად. ყველაზე ახალგაზრდა რესპონდენტთა (18-34-წელი) მხოლოდ 94%-მა განაცხადა, რომ ინფორმაციას იღებდა ეპიდემიოლოგიური სიტუაციის შესახებ; იგივე აღნიშნა თითქმის ყველამ 55 წელს ზემოთ ასაკის ჯგუფებში. მოსალოდნელია, რომ ახალგაზრდა რესპონდენტები ინფორმაციას უფრო მეტად მოსწავლეთა დისტანციური საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (87%) იძიებდნენ, რაც უფრო მაღალ ასაკობრივ ჯგუფებში შედარებით ნაკლებად აინტერესებდათ, კერძოდ: 35-44 ასაკის გამოკითხულთა შორის - 83%, 45-54 წლის შუალედში - 76%, 55-64 წლის რესპონდენტებში - 77%, 65 და უფროსი ასაკის ჯგუფში კი - 79%.

კვლევის ინსტრუმენტის ცვლილების გამო, მაისის შედეგებთან ექვსიდან მხოლოდ სამი საკითხის შედარების საშუალება გვაქვს. მათი წილი, ვინც ინფორმაცია ეპიდემიოლოგიური სიტუაციის შესახებ მიიღო, სამი პროცენტული პუნქტით - 95%-მდე შემცირდა; საქართველოს იმ მოსახლეობის პროპორცია, ვინც პრევენციული ზომების შესახებ ინფორმაციით დაინტერესდა, ოთხი პროცენტული მაჩვენებლით შემცირდა, ხოლო მოსახლეობის წილმა, ვისაც სამედიცინო დაწესებულებების შესახებ შეიტყო სიახლეები, ორი პროცენტული პუნქტით დაიკლო. მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებლები აბსოლუტური რიცხვის ცვლილებაზე მიგვითითებს, განსხვავებები მცირეა და გამოკითხვის ცდომილების ზღვარში ჯდება. შესაბამისად, სხვაობათა ინტერპრეტირებისას სიფრთხილეა საჭირო.

# ინფორმაციის ხარისხის აღქმა


ზოგადად, საქართველოს მოსახლეობა კორონავირუსის შესახებ მიღებულ ინფორმაციას დადებითად აფასებს. სწრაფი გენდერული შეფასების ოქტომბრის ტალღაში რესპონდენტების უმეტესობამ (79%) მიღებული ინფორმაცია აღიქვა, როგორც ზუსტი და გამოსადეგი (დიაგრამა 3); შედარებით ნაკლებმა კი მიიჩნია, რომ ინფორმაცია გასაგები, თუმცა- დაგვიანებული იყო (8%); ხოლო რესპონდენტთა დაახლოებით 9%-თვის ინფორმაცია დამაბნეველი და წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა.



დიაგრამა 3

როგორ შეაფასებდით მიღებულ ინფორმაციას(%)? სწრაფი გენდერული შეფასების პირველი და მეორე ტალღა

საქართველოს მოსახლეობის მიერ მიღებული ინფორმაციის აღქმა დემოგრაფიულ ჭრილში ერთმანეთისგან არ განსხვავდება. სამაგიეროდ, მათთვის, ვინც ინფორმაციის ძირითად წყაროდ ტელევიზიას იყენებდა, კორონავირუსის შესახებ მიღებული ინფორმაცია უფრო მეტად იყო ცხადი და გამოსადეგი (83%). ინტერნეტ



მომხმარებელთა შორის შედარებით ნაკლებმა (77%) შეაფასა ინფორმაცია დროულად და გამოსადეგად, ხოლო ვინც სხვა წყაროებს იყენებდა, მათ ნახევარზე ოდნავ მეტი სთვის ინფორმაცია ზუსტი და სასარგებლო (55%) გახლდათ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა კორონავირუსის შესახებ მიღებულ ინფორმაციას ნათლად და გამოსადეგად მიიჩნევს, 2020 მაისთან შედარებით, თოთხმეტი პროცენტული პუნქტით კლება მაინც აღინიშნება. მათი წილი, ვინც მიღებულ ინფორმაციას დაგვიანებულად თვლის, ოთხი პროცენტული პუნქტით გაიზარდა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს უფრო მეტ მცხოვრებს მიაჩნია კორონავირუსის შესახებ არსებული ინფორმაცია დამაბნეველად და წინააღმდეგობრივად (9%), ვიდრე ეს 2020 წლის მაისში იყო (2%).









# დასაქმება, შემოსავალი და საარსებო საშუალებები

ამ ნაწილში შეჯამებულია კორონავირუსის პირველი ტალღის გავლენა ქალებსა და კაცებზე საქართველოში. შეძლებისდაგვარად, შედეგები შედარებულია სწრაფი გენდერული შეფასების პირველი ტალღის შედეგებთან.



დასაქმება


დასაქმება, შემოსავალი და  
საარსებო საშუალებები

# დასაქმება კორონავირუსის პანდემიამდე

## დასაქმების სტატუსი და სტრუქტურა ეპიდემიის გავრცელებამდე

2020 წლის ოქტომბრის კვლევაში, საქართველოს მოსახლეობის 55%-მა აღნიშნა, რომ კორონავირუსის გავრცელებამდე ისინი დასაქმებული იყვნენ. დაახლოებით 11% თავს უმუშევრად მიიჩნევდა, ხოლო 34% - ეკონომიკურად არააქტიურად. ეს მონაცემები, ძირითადად, შეესაბამება 2020 წლის მაისის ტალღის დროს მოწოდებულ ინფორმაციას, თუკი გამოკითხვის ცდომილებას გავითვალისწინებთ.

კორონავირუსის პანდემიამდე ქალების უმეტესობა ეკონომიკურად არააქტიური (50%) ან უმუშევარი (8%) იყო, ამის საპირისპიროდ კი კაცების უმეტესობა - დასაქმებული (69%). მამაკაც რესპონდენტთა მესამედზე ნაკლები ეკონომიკურად არააქტიურად (16%) ან უმუშევრად (15%) მიიჩნევდა თავს.



დიაგრამა 4

დასაქმების მდგომარეობა სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (%)



**ნებისმიერი ასაკობრივი კატეგორიის ქალები ნაკლებ მოსალოდნელია, დასაქმებულები იყვნენ, ვიდრე - კაცები.**

ზემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია რესპონდენტთა განაწილება დასაქმების კუთხით გენდერული და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი ასაკობრივი კატეგორიის ქალები ნაკლებ მოსალოდნელია, დასაქმებულები იყვნენ, ვიდრე - კაცები. საზოგადოდ, ყველა ასაკობრივი კატეგორიის შრომისუნარიანი ქალები უფრო ნაკლებად სავარაუდოა, მუშაობდნენ, ვიდრე იგივე ასაკობრივი კატეგორიის კაცები. ყველა ასაკობრივ კატეგორიაში, კაცებთან შედარებით, უფრო მეტი ქალია ეკონომიკურად არააქტიური. მაგალითად, 18-34 ასაკობრივ კატეგორიაში კაცების 71% დასაქმებულია მაშინ, როდესაც იგივე ასაკობრივ კატეგორიაში ქალების მხოლოდ 41% მიიჩნევს თავს დასაქმებულად. ამ კატეგორიაში ქალების თითქმის ნახევარი (47%) ეკონომიკურად არააქტიურია, კაცების მხოლოდ 9%-ისგან განსხვავებით. კაცები უფრო ხშირად აცხადებენ, რომ უმუშევრები არიან (20%), ვიდრე ქალები (12%).

იგივე ვითარებაა მაღალ ასაკობრივ ჯგუფებშიც. 55-64 ასაკობრივ კატეგორიაში ქალების 47%-ია დასაქმებული მაშინ, როდესაც კაცების 70% აცხადებს, რომ მუშაობს. დასაქმებულია კაცების ოცდარვა პროცენტი და ქალების 12% 65 წელს ზემოთ. ეკონომიკურად უმოქმედოთა წილი, აგრეთვე, მაღალია ასაკოვანი ქალების შემთხვევაში, კაცებთან შედარებით.


თბილისის მცხოვრებთა თითქმის ორი მესამედი (64%) დასაქმებულია, სხვა ქალაქებისა (55%) და სოფლებისგან (47%) განსხვავებით. უფრო მეტი სოფლად მცხოვრები ქართველია ეკონომიკურად უმოქმედო, ვიდრე თბილისისა და სხვა ქალაქების რესპონდენტები. ქვეყნის სოფლებში მცხოვრებთა 40% თავს უმუშევრად მიიჩნევს მაშინ, როდესაც იგივეს თბილისელებისა და სხვა ქალაქების მცხოვრებთა 30% აღნიშნავს.

აღსანიშნავია სოფლად მცხოვრებ ქალებსა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის ეკონომიკურად არააქტიურების მაღალი წილი. სოფლად მცხოვრები ქალების 65% თავს არააქტიურად მიიჩნევს, კაცების კი - 15%. რეგრესიის მოდელი, რომელიც რესპონდენტების დასაქმების სტატუსს პროგნოზირებს, აჩვენებს, რომ მოსახლეობის დანარჩენ ნაწილთან შედარებით, ნაკლებად სავარაუდოა, ეთნიკური უმცირესობები დასაქმებულები იყვნენ<sup>13</sup>.

13 აღბათობები გამოთვლილია პოლინომური ლოგისტიკური რეგრესიის მოდელით, რომელიც რესპონდენტების დემოგრაფიულ მახასიათებლებს აკონტროლებს.

დასაქმებული მოსახლეობის ორმა მესამედმა (64%) განაცხადა, რომ პანდემიამდე ისინი კომპანიაში ან დაწესებულებაში მუშაობდნენ. დაახლოებით 19% ფლობდა ბიზნესს თანამშრომლების გარეშე, ხოლო 9% სხვებს ასაქმებდა. ქართველების 8% სხვა პირისთვის ან ოჯახისთვის მუშაობდა.

პანდემიამდე ქალები უფრო ხშირად მუშაობდნენ დაქირავებულ მუშაკად. მომუშავე ქალების სამმა მეოთხედმა განაცხადა, რომ მუშაობდა კომპანიაში ან ორგანიზაციაში; იგივე განაცხადა მომუშავე კაცების 57%-მა. უფრო მეტი კაცი, ვიდრე ქალი იყო რაიმე ტიპის მეწარმე. დასაქმებული კაცების 23% და ქალების 14% ფლობდა ბიზნესს თანამშრომლების გარეშე მაშინ, როდესაც მხოლოდ კაცების თერთმეტი და ქალების ხუთი პროცენტი იყო დამსაქმებელი. ქალებისა (7%) და კაცების (9%) თითქმის თანაბარი წილი მუშაობდა სხვა ადამიანისთვის ან ოჯახისთვის.



დიაგრამა 5


ყველაზე უკეთ როგორ აღწერდით თქვენი დასაქმების სტატუსს ჩვეულებრივი კვირის განმავლობაში კორონავირუსის გავრცელებამდე (%)?

# ცვლილებები ანაზღაურებად სამუშაოში

## დასაქმება და სამუშაო საათები პანდემიის შემდეგ


2020 წლის ოქტომბრის გამოკითხვის მიხედვით, ქალებისა და კაცების 17%-მა განაცხადა, რომ სამუშაო 2020 წლის მარტში კორონავირუსის გავრცელების შემდგომ დაკარგა. საქართველოს მოსახლეობის 32%-მა თქვა, რომ მათი სამუშაო საათები შემცირდა, თუმცა მაინც ახერხებენ სამუშაოს შენარჩუნებას. თითქმის ნახევარმა კი (48%) აღნიშნა, რომ მათთვის ანაზღაურებადი სამუშაო საათების თვალსაზრისით არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

აღსანიშნავია, რომ ქალებსა და კაცებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლილება არ ყოფილა სამუშაო საათების მხრივ. ქალების 50%-მა და კაცების 47%-მა განაცხადა, რომ მათ ანაზღაურებად სამუშაო საათებში არაფერი შეცვლილა. კაცების თხუთმეტმა და ქალების ოცმა პროცენტმა კი თქვა, რომ სამუშაო დაკარგა. დასაქმებული ქალების 26%-მა და დასაქმებული კაცების 36%-მა შემცირებული სამუშაო საათების შესახებ განაცხადა მაშინ, როდესაც კაცების 3% და ქალების 4% აღნიშნავს სამუშაო საათების გაზრდას.



დიაგრამა 6

კორონავირუსის გავრცელების შემდეგ შეიცვალა თუ არა თქვენი ანაზღაურებადი სამუშაოს საათები (%)?. სწრაფი გენდერული შეფასების 2020 წლის მაისისა და ოქტომბრის ტალღა



14 ალბათობები შეფასდა პოლინომური ლოგისტიკური რეგრესიის მოდელით, რომელიც რესპონდენტების დემოგრაფიულ მახასიათებლებს აკონტროლებს.

15 ქალებსა და კაცებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ ყოფილა.

კვლევის ეს შედეგები განსხვავებულია წინა ტალღისგან (დიაგრამა 6). 2020 წლის მაისის გამოკითხვაში, საქართველოს მოსახლეობის თითქმის ერთმა მესამედმა განაცხადა სამუშაოს დაკარგვის შესახებ, რაც ოქტომბრის მონაცემებთან შედარებით, თხუთმეტი პროცენტული პუნქტითაა გაზრდილი. მათი წილი, ვინც აღნიშნა, რომ სამუშაო საათების კუთხით კორონავირუსის გავრცელების შემდეგ არაფერი შეცვლილა, თხუთმეტი პროცენტული პუნქტით გაიზარდა. ზემოთხსენებული ტენდენცია შეიძლება, სამუშაოების აღდგენის ნელ პროცესზე მიუთითებდეს 2020 წლის გაზაფხულზე დაწესებული მკაცრი წესებისა და ქვეყნის სრული ჩაკეტვის შემდეგ.

წინა ტალღის მსგავსად, როგორც ჩანს, ეთნიკური უმცირესობები კორონავირუსის პანდემიის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდნენ. ისინი თითქმის სამჯერ უფრო ხშირად აცხადებენ სამუშაოს დაკარგვის შესახებ, ვიდრე ეთნიკური ქართველები<sup>14</sup>. მიუხედავად იმისა, რომ სხვაობათა ზუსტი შეფასებები, შეიძლება, სანდო არ იყოს შერჩევის მცირე მოცულობისა (დაახლოებით 8%) და გამოკითხვის შედარებით მაღალი ცდომილების გამო, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები მაინც ფიქსირდება.


იქონია თუ არა კორონავირუსის პანდემიამ განსხვავებული გავლენა ადამიანებზე მათი დასაქმების ტიპის მიხედვით? მონაცემების მიხედვით, ყველაზე მეტად მეწარმეები დაზარალდნენ. 29%-მა, ვინც სხვებს ასაქმებდა, თქვა, რომ პანდემიის გავრცელების შემდეგ სამუშაო დაკარგა. ყველაზე ნაკლებად დაზარალდნენ კომპანიებში, ბიზნესებსა თუ ოჯახებში დასაქმებული რესპონდენტები ამ კატეგორიიდან მხოლოდ 15%-მა განაცხადა სამუშაოს დაკარგვის თაობაზე. თვითდასაქმებულთა შორის კი 19%-მა დაკარგა სამსახური პანდემიის გავრცელების შემდეგ.

შტატგარეშე მომუშავე ადამიანებისთვის და თვითდასაქმებულებისთვის სამუშაო საათები შემცირდა. თვითდასაქმებულთა და დამსაქმებელთა 38%-მა შემცირებული სამუშაო საათების შესახებ განაცხადა. ანაზღაურებადი სამუშაო საათები კი დასაქმებულთა მხოლოდ ერთ მეოთხედს შეუმცირდა<sup>15</sup>.




2020 წლის მაისის ტალღასთან შედარებით, სამუშაოს დაკარგვის შესახებ ნაკლებმა ადამიანმა აღნიშნა (დიაგრამა 7). უფრო მეტმა დასაქმებულმა კი განაცხადა, რომ სამუშაო საათების თვალსაზრისით არაფერი შეცვლილა. სწრაფი გენდერის შეფასების გაზაფხულის ტალღაში, დამსაქმებელთა 44%-მა და თვითდასაქმებულთა 46%-მა განაცხადეს სამუშაოს დაკარგვის შესახებ. ეს მონაცემები ოქტომბრის ტალღის დროს დამსაქმებლების შემთხვევაში 29%-ს, ხოლო თვითდასაქმებულების შემთხვევაში - 19%-ს შეადგენდა. ამის მიუხედავად, უფრო მეტმა თვითდასაქმებულმა (55%) თქვა, რომ შემოდგომის ტალღის დროს შეუმცირდა სამუშაო საათები გაზაფხულის ტალღასთან შედარებით (28%).

**მაისი  
2020**



**ოქტომბერი  
2020**



■ გაიზარდა ■ არ შეცვლილა/იგივე დარჩა ■ შემცირდა, მაგრამ სამუშაო არ დამიკარგავს ■ სამუშაო დაკარგე

დიაგრამა 7

შეიცვალა თუ არა ანაზღაურებადი სამუშაოს საათები კორონავირუსის პანდემიის შედეგად (%)? დასაქმების სტატუსის მიხედვით. სწრაფი გენდერული შეფასების 2020 წლის მაისისა და ოქტომბრის ტალღა

კორონავირუსის პანდემიის გამო, ზოგი იძულებული გახდა, სამსახურიდან შვებულება აეღო. მოსახლეობის 78%-მა, მათ შორის - კაცების 80%-მა და ქალების 77%-მა შვებულებით არ ისარგებლა. ქალების 65% და კაცების 54-ს შვებულება არ გამოუყენებია, ხოლო კაცების მეოთხედს და მომუშავე ქალების 13%-ს სამსახურიდან შესვენების შესაძლებლობა არ ჰქონია.

მოსახლეობის 10%-მა სამსახურიდან შვებულება აიღო და სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურებაც მიიღო. აღსანიშნავია, რომ ქალები უფრო ხშირად იღებენ სრულ ან ნაწილობრივ ანაზღაურებად შვებულებას (16%), ვიდრე კაცები (10%). მომუშავე კაცების 8% და ქალების 6%-მა ისარგებლა უხელფასო შვებულებით კორონავირუსი პანდემიის გამო.

კვლევის ეს შედეგები მეტწილად შეესაბამება წინა ტალღის მონაცემებს, გამოკითხვის ცდომილების გათვალისწინებით. მაისთან შედარებით (10%), ოქტომბერში ოდნავ მეტმა ქალმა (16%) აღნიშნა, რომ ანაზღაურებადი შვებულებით ისარგებლა. იმ დასაქმებული კაცების პროცენტული წილი, ვისაც შვებულებით არ უსარგებლია, ცხრა პროცენტული პუნქტით შემცირდა გვიან გაზაფხულთან შედარებით.

დასაქმებულ ქართველებს აღეღვებთ, თუ რა მოუვა მათ შემოსავალს, თუკი სამსახურში დაბრუნებას ვერ შეძლებენ. მნიშვნელოვანი ნაწილი (39%) დარწმუნებულია, რომ ორ კვირაზე მეტი ხნის უმუშევრობის შემთხვევაში, ხელფასს არ გადაუხდიან. 34% ფიქრობს, რომ სრულ ანაზღაურებას მიიღებს სამუშაოზე არგამოცხადების შემთხვევაშიც. 6%-ს, სულ მცირე, ნაწილობრივი კომპენსაციის მიღების მოლოდინი აქვს, ხოლო 22%-მა არ იცის, რა მოუვა მათ შემოსავალს, თუკი სამსახურში ვერ ივლიან.

ქალები თვლიან, რომ უფრო სავარაუდოა, შეინარჩუნონ ხელფასები ორი კვირის განმავლობაში უმუშევრობის დროსაც. ქალების 43%-ს და კაცების 28%-ს იგივეს მოლოდინი ჰქონდა. კაცების ექვს და ქალების ხუთ პროცენტს კი ჰქონდა მოლოდინი, რომ, სულ მცირე, ნაწილობრივ ანაზღაურებას მაინც მიიღებდნენ. ქალებისთვის უფრო ნაკლებ სავარაუდოა (30%), არ მიიღონ ანაზღაურება, თუ სამუშაოზე წასვლა ვერ

შეძლეს, ვიდრე კაცებისთვის (45%).

მიუხედავად იმისა, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით, საქართველოს მოსახლეობა 2020 წლის მაისის მსგავსად, შეფიქრინებულია შემოსავლების კლებით, ქალები, როგორც ჩანს, შედარებით ოპტიმისტურად არიან განწყობილი. გაზაფხულთან შედარებით შვიდი პუნქტით არის გაზრდილი იმ ქალების წილი, ვინც დარწმუნებულია, რომ ანაზღაურებას აიღებს, თუ ვერ შეძლებს მუშაობას ორი კვირის განმავლობაში.

## სახლიდან მუშაობა

პანდემიის პირველი ტალღისგან განსხვავებით, ოქტომბერში, დასაქმებული ქართველები უმეტესად დაუბრუნდნენ საკუთარ სამუშაო ადგილებს. პანდემიამდე დასაქმებულების 70% აცხადებდა, რომ სამსახურში სიარული არ შეუწყვეტიათ და ისევ ცხადებიან სამუშაოზე. 11% კი ამბობს, რომ პანდემიის გავრცელებისას ადარ დადიოდა სამსახურში, თუმცა ახლა სრულ განაკვეთზე მუშაობენ და თან საკუთარ სამუშაო ადგილებზე. 5%, მათი განცხადების მიხედვით, სამუშაო სივრცეებში ნახევარ განაკვეთზე ცხადებოდნენ. დაახლოებით 9% ამბობს, რომ დისტანციურ მუშაობაზე გადავიდა, ხოლო 6% სახლიდან მუშაობს, როგორც ეს პანდემიის გავრცელებამდე იყო.

აღსანიშნავია, რომ არცერთი დემოგრაფიული ფაქტორით არ იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ ადამიანებს სახლიდან მუშაობა მოუხდათ. ქალების 65%-ის და კაცების 73%-ის თქმით, სამსახურში სიარული არასდროს შეუწყვეტიათ. ქალების 12% და კაცების 10% კი სრულგანაკვეთიან სამუშაოს დაუბრუნდა. ქალი რესპონდენტების 7% და კაცების 3% სამსახურში, სულ მცირე, კვირაში ერთხელ მაინც დადის. ქალების მხოლოდ 11% და კაცების 8% დისტანციურად აგრძელებს მუშაობას.

ამ კუთხით მნიშვნელოვან ცვლილებებს ჰქონდა ადგილი კვლევის წინა ტალღასთან მიმართებაში. მაისში სამუშაო ძალის ნახევარი დისტანციურად მუშაობდა, ხოლო დასაქმებული ქართველების მხოლოდ 15%-მა განაცხადა, რომ სახლიდან სრული ჩაკეტვის დროს მუშაობდა. ამჟამად, იმ დასაქმებულებიდან 85% სამსახურში ნახევარ განაკვეთზე მაინც დადის, რაც მაისის მონაცემისგან (49%) განსხვავდება.

---

# ცვლილებები თვითდასაქმებასა და ბიზნეს საქმიანობაში

დასაქმებული ქართველების 14% საკუთარ საწარმოებში შრომობდა, ან ოჯახურ ბიზნესში ეხმარებოდა ფულადი ანაზღაურების გარეშე. ქალები უფრო ნაკლებად იყვნენ თვითდასაქმებული (7%), ვიდრე კაცები (23%). ეთნიკური უმცირესობების შედარებით დიდი წილი იყო თვითდასაქმებული, ვიდრე ეთნიკური ქართველებისა<sup>16</sup>. საგულისხმოა, რომ თვითდასაქმებული ქართველების თითქმის ნახევარი მუშაობდა საწარმოებში, რომელიც ოფიციალურად რეგისტრირებული არ არის.

კორონავირუსის პანდემიამ ყველაზე უარყოფითად მეწარმეებზე იმოქმედა. ბიზნესის მფლობელთა 50%-მა აღნიშნა, რომ პანდემია მათზე უარყოფითად მოქმედებს. დამატებით 10%-მა კი საკუთარი ბიზნესის დახურვის შესახებ განაცხადა<sup>17</sup>. შედეგები, ძირითადად, 2020 წლის მაისის მდგომარეობის შესაბამისია.

---

# საარსებო წყაროები


როგორც გამოკითხულთა უმრავლესობამ აღნიშნა, ხელფასზეა დამოკიდებული (55%). უფრო მეტი მამაკაცი (60%), ვიდრე ქალი (51%) შემოსავალს სახელფასო ანაზღაურებით იღებს. 54-წლამდე გამოკითხულთა დაახლოებით 62-66%-მა განაცხადა ანაზღაურებადი სამუშაოს შესახებ, ასაკოვან რესპონდენტებთან შედარებით (22-50%). თბილისის მცხოვრებთა 66%-ის ძირითადი შემოსავლის წყარო ანაზღაურებადი სამუშაოა. ვინც დედაქალაქში არ ცხოვრობს, სხვა ქალაქების მცხოვრებთა დაახლოებით 59%-მა და სოფლად მცხოვრებთა 44%-მა განაცხადა, რომ ანაზღაურებად სამუშაოზეა დამოკიდებული.

ამჟამად, საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი (43%) ამბობს, რომ დამოკიდებულია სამთავრობო სოციალურ დახმარებაზე, მაგალითად, პენსიასა და სოციალურ დახმარებაზე. უფრო მეტი ქალი (49%), ვიდრე კაცი (37%) სახელმწიფო სოციალურ შემწეობაზეა. წილობრივად თითქმის იგივე რაოდენობა (445) შემოსავალს ფერმერული საქმიანობიდან გამოიმუშავენს. უფრო ცოტა ქალი (38%), ვიდრე მამაკაცი (54%) სასოფლო-სამეურნეო შემოსავლით ცხოვრობს.

---

16 განსხვავებები ბინარული ლოგისტიკური რეგრესიის გამოყენებით იდენტიფიცირდა გამოკითხვის პარამეტრებთან ერთად.

17 მცირე ზომის შერჩევის გათვალისწინებით, ეს შეფასებები, შეიძლება, სანდო არ იყოს.



დიაგრამა 8

რა ზეგავლენა იქონია კორონავირუსმა ჩამოთვლილ პირად რესურსებზე?

საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი წილი (30%) ნატურალურ მეურნეობაზეა დამოკიდებული, კერძოდ: სურსათის მოყვანაზე, ცხოველთა მოვლასა თუ მეთევზეობაზე. მიუხედავად იმისა, რომ უფრო მეტი მამაკაცი (35%), ვიდრე ქალია (26%) დამოკიდებული ნატურალურ მეურნეობაზე, ეს განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის. ამის მიუხედავად, სოფლის მოსახლეობის უმეტესობა (57%) და ქალაქად მცხოვრები მოსახლეობის ერთ მეხუთედზე მეტი (22%) თავიანთ საარსებო საშუალებად ნატურალურ მეურნეობას ასახელებს.

26% შემოსავლის ძირითად წყაროდ სამეწარმეო საქმიანობას ასახელებს. ამის შესახებ უფრო მეტმა კაცმა (36%) განაცხადა, ვიდრე ქალმა (18%). 45-54 ასაკობრივი კატეგორიის უფრო მეტი რესპონდენტი დაკავებული რაიმე ტიპის სამეწარმეო საქმიანობით, ვიდრე სხვა ასაკობრივი ჯგუფის გამოკითხულები, ვინც ამ წყაროდან იღებდა შემოსავალს.

საქართველოს მოსახლეობის, სულ მცირე, 29% -თვის შემოსავლის წყაროს სხვების ფულადი გზავნილები შეადგენს, იქნება ეს საქართველოში, თუ მის საზღვრებს გარეთ მყოფი პირები. 17%-ის თქმით, ფულად თუ სხვა დანმარებას საქართველოში მცხოვრები ადამიანებისგან იღებს. ამ კუთხით გენდერული სხვაობა არ გამოკვეთილა. რაც შეეხება ფულად გზავნილებს საზღვარგარეთიდან, 16%-მა განაცხადა, რომ მას ამა თუ იმ ფორმით იღებს, ქალებისა და კაცების თანაბარი პროპორციით. უფრო ცოტა მოქალაქე აღნიშნავს, რომ დანმარებას არასამთავრობო/საქველმოქმედო ორგანიზაციებიდან (2%) ან ეკლესიიდან (1%) იღებს.

აღსანიშნავია, რომ პირადი რესურსების თვალსაზრისით, სწრაფი გენდერული შეფასების 2020 წლის მაისის ტალღასთან შედარებით არაფერი შეცვლილა. მხოლოდ ხუთი პუნქტით გაიზარდა იმ პირთა წილი, ვინც ფერმერულ საქმიანობას თავიანთ საარსებო რესურსად ასახელებს და ორპუნქტიანი ზრდა ფიქსირდება იმ რესპონდენტებში, ვისაც თავის საარსებო რესურსად არასამთავრობო/საქველმოქმედო ორგანიზაცია მოჰყავს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ეს განსხვავებები უფრო კავშირშია გამოკითხვის ცდომილებასთან, ვიდრე თვითონ საარსებო წყაროების არსებით შეცვლასთან.

## ეკონომიკის განვითარება პირად ფინანსურ რესურსებზე

კორონავირუსმა სამეწარმეო საქმიანობით (ანაზღაურებადი სამუშაოები, მეწარმეობა, სოფლის მეურნეობის ნაწარმის გაყიდვა) მიღებულ შემოსავლებზეც იმოქმედა. (დიაგრამა 8) საქართველოს მოსახლეობის ერთი მეხუთედი (21%) აფიქსირებს ანაზღაურებადი სამუშაოსაგან მიღებული შემოსავლის კლებას. ქალებზე (19%) მცირედით მეტი მამაკაცი (23%) აღნიშნავს, რომ პანდემიის შედეგად დაზარალდა. საქართველოს მოსახლეობის 19%-მა განაცხადა, რომ სოფლის მეურნეობის ნაწარმის გაყიდვით მიღებული შემოსავალი შეუმცირდა. სოფლის მეურნეობის ნაწარმის გაყიდვით მიღებული შემოსავალი თანაბარი პროპორციით შეუმცირდათ ქალებსა (17%) და კაცებს (20%). რაც შეეხება სამეწარმეო საქმიანობას, შემოსავლის კლებას ქვეყნის მასშტაბით 19% უჩივის. კაცების მეოთხედის და ქალების 13%-ის თქმით, შემცირდა მათი კომერციული საქმიანობით მიღებული შემოსავალი.

მოსახლეობის დაახლოებით ერთი მეხუთედი, რომელიც დამოკიდებულია ნატურალურ მეურნეობაზე, ამ წყაროს კლებაზე მიუთითებს (6% ქვეყნის მასშტაბით).

ყველაზე დიდი გავლენა საზღვარგარეთიდან მიღებულ გზავნილებზე აღინიშნება. მოსახლეობის 8%-ის თქმით, შეუმცირდათ ამ გზით მიღებული შემოსავალი, რამაც მნიშვნელოვნად დაზარალა მათი ნაწილი, ანუ ვინც გზავნილებზე, როგორც საარსებო საშუალებაზეა დამოკიდებული. რაც შეეხება ქვეყნის ფარგლებში მიღებულ დახმარებას, ამ გზით მიღებული შემოსავლის შემცირება მხოლოდ 3%-მა განიცადა.

სახელმწიფოს კომპენსაციები, როგორცაა პენსიები და სოციალური დახმარებები, უმეტესად უცვლელია. ამ ტიპის კომპენსაციების შემცირება გამოკითხულთა მხოლოდ 1%-მა აღნიშნა. 35%-ის თქმით კი ამ მხრივ არაფერი შეცვლილა მათთვის, ხოლო 7%-მა ზრდა დააფიქსირა.

როგორ განსხვავდება ეს მონაცემები წინა ტალღის პერიოდის მონაცემებისგან? ოქტომბრის კვლევის დროს, საერთო ჯამში, მოსახლეობის შედარებით ნაკლებმა წილმა დააფიქსირა სამეწარმეო

შემოსავლის შემცირება. მათი პროპორცია, ვინც შემოსავალს ფიქსირებული ხელფასით იღებდა, 13 პუნქტით შემცირდა, სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი კი - ექვსი პუნქტით. იმ მოსახლეობის წილი, ვისაც შემოსავალი სოფლის მეურნეობის საქმიანობიდან შეუმცირდა, არ შეცვლილა.

სახელმწიფო პენსიებისა და სოციალური დახმარების ზრდას 2020 მაისთან შედარებით მეტი ქართველი აღნიშნავს. სოციალური დახმარების გაზრდის შესახებ ოქტომბერში 7%-მა განაცხადა მაისის 1%-თან შედარებით. უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდში იმ ადამიანების რაოდენობა, ვისაც ფულადი გზავნილები შეუმცირდა, არ შეცვლილა.

როგორ გაუმკლავდნენ ქართველები შემოსავლების კლებას? რესპონდენტებს ჰკითხეს, თუ რა ზომები მიიღეს მშემოსავლის შემცირებასთან გასამკლავებლად? 30%-მა განაცხადა, რომ რაიმე განსაკუთრებული ზომები არ მიუღია, 41%-მა დანაზოგის ხარჯვა დაიწყო, 36%-მა კი - ნაკლებად სასურველი ან იაფი საკვების შეძენა; 33%-მა გადაწყვიტა, ნაკლები დაეხარჯა ჯანმრთელობაზე ზრუნვისთვის. 21%-ს ოჯახის წევრების, მეგობრებისა და ნაცნობებისგან ფულის სესხება დასჭირდა, ხოლო 19%-მა სესხი აიღო საფინანსო დაწესებულებებისგან; 15%-მა ხარჯები განათლებაზე შეამცირა და 7%-მა ოჯახიდან გაყიდა საყოფაცხოვრებო მოხმარების ნივთები.

ზოგადად, ქალებმა და კაცებმა მსგავსი ნაბიჯები გადადგეს შემოსავლის შემცირებასთან გასამკლავებლად. უფრო მეტმა ქალმა (38%), ვიდრე მამაკაცმა (27%) განაცხადა, რომ შეამცირეს ჯანმრთელობის ხარჯები, ხოლო მეტმა მამაკაცმა (9%), ვიდრე ქალმა (5%) ოჯახიდან საყოფაცხოვრებო ნივთების გაყიდვა აღნიშნა.

რომელი ჯგუფი გახდა იძულებული, ალტერნატიული წყარო მოეძებნა შემოსავლის კომპენსირებისთვის? ამის დასადგენად შემუშავდა ბინარული ცვლადი, რომელიც განსაზღვრავს, მიიღო თუ არა რესპონდენტმა რაიმე ტიპის ზომა შემოსავლის შემცირებასთან გასამკლავებლად. შედგა რეგრესული მოდელი, რომელიც პროგნოზირებს, მოიძია თუ არა რესპონდენტმა რაიმე ალტერნატიული წყარო. საერთო ჯამში, სქესი, განათლება და ბავშვების ყოლა ოჯახში პროგნოზირებდა იმას, მიმართა თუ არა რესპონდენტმა ალტერნატიუების ძიებას შემოსავლის კომპენსირებისთვის<sup>19</sup>.

ქალები, უმაღლესი განათლების არმქონე და ბავშვიან ოჯახში მცხოვრები


19 მოდელი აკონტროლებდა რესპონდენტის ასაკს, სქესს, განათლებას, ეროვნებას, დასაქმების სტატუსს, ოჯახის წევრების რაოდენობას, ბავშვებისა და შეზღუდული შესაძლებლობების პირების არსებობას ოჯახში.



რესპონდენტები უფრო მეტად მიმართავენ ალტერნატიულ წყაროებს შემოსავლის კომპენსირებისათვის (დიაგრამა 9). ქალებს ჰქონდათ 75%-იანი ალბათობა, მოეძებნათ, ან გამოეყენებინათ ალტერნატივა შემცირებული შემოსავლის კომპენსირებისათვის. უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტები უფრო ნაკლებად მიმართავენ ალტერნატიულ წყაროებს (64%), ვიდრე პირები უმაღლესი განათლების გარეშე (74%). ბავშვებიანი ოჯახების წარმომადგენლები უფრო ასახელებდნენ ალტერნატიულ წყაროებს, ვიდრე სხვები.

**დიაგრამა 9**

ალტერნატიული რესურსების გამოყენების ალბათობა შემცირებული შემოსავლის კომპენსირებისათვის (%). სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები აღნიშნულია წითლად



## პროდუქტიულ შემოსავალზე საერთო გეგმვა

საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 43%-მა აღნიშნა შემოსავლის კლება პროდუქტიული საქმიანობის შედეგად, როგორცაა ანაზღაურებადი სამუშაოები, სოფლის მეურნეობის პროდუქტის გაყიდვა და სამეწარმეო საქმიანობა. გამოკითხვის წინა ტალღასთან შედარებით, ნაკლები ადამიანი აფიქსირებს ამ ტიპის შემოსავლის კლებას. ოქტომბრის კვლევის დროს, მხოლოდ 49% კაცმა და 39% ქალმა განაცხადა შემოსავლის შემცირების შესახებ მაშინ, როდესაც იგივეს 89% კაცი და 75% ქალი აღნიშნავდა 2020 წლის მაისში.


დეტალური ანალიზისთვის შეიქმნა ბინარული ცვლადი, რომელიც აფასებდა, შეუმცირდა თუ არა რესპონდენტს შემოსავალი რომელიმე პროდუქტიული საქმიანობიდან. დემოგრაფიულ ჯგუფებსა და ოჯახის მახასიათებლებს შორის სხვაობა ბინარული ლოგისტიკური რეგრესიით გამოითვალა (დიაგრამა 10).<sup>20</sup>

რესპონდენტის ეროვნება, სამუშაო სტატუსი, განათლება და ბავშვების არსებობა ოჯახში დაკავშირებულია სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლის ცვლილებასთან. მონაცემები აჩვენებს, რომ უმცირესობის წარმომადგენლებს, დასაქმებულ რესპონდენტებს და რესპონდენტებს უმაღლესი განათლების და ბავშვების გარეშე შემოსავალი შეუმცირდათ ანაზღაურებადი სამუშაოდან, სოფლის მეურნეობიდან და სამეწარმეო საქმიანობიდან. ეთნიკურ უმცირესობის წარმომადგენლებს 63%-ით შეუმცირდათ ხელფასი, ეთნიკურ ქართველებს კი მხოლოდ 42%-ით. გასაკვირი არ არის, რომ გამოკითხულთაგან დასაქმებულებიც დადგნენ შემოსავლის შემცირების რისკქვეშ (56%) ისევე, როგორც ეკონომიკურად არააქტიური (32%) ან უმუშევარი (22%) პირები. რესპონდენტებს უმაღლესი განათლების გარეშე შემოსავლის შემცირების 10%-ით უფრო მეტი ალბათობა აქვთ, ვიდრე უმაღლესი განათლების მქონეებს. სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის შემცირების ალბათობა ბავშვიან ოჯახებში 38% განისაზღვრა, ხოლო უშვილო ოჯახებში - 47%-ით.

20 მოდელი აკონტროლებდა რესპონდენტის სქესს, ასაკს, განათლებას, ეროვნებას, დასაქმების სტატუსს, ოჯახის წევრების რაოდენობას, ბავშვებისა და შეზღუდული შესაძლებლობის პირების არსებობას ოჯახში.

დიაგრამა 10

პროდუქტიული საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლის შემცირების ალბათობა (%). სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები შეფერილია წითლად.



# ფინანსური და სხვა სახის დახმარება

კორონავირუსით გამოწვეულ შედეგებთან გასამკლავებლად, ზოგიერთმა მოქალაქემ ფინანსური დახმარებისთვის სახელმწიფოს მიმართა, ასე მოიქცა გამოკითხული რესპონდენტების 17%. განსხვავებას ქეისის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის, დახმარებას კაცების 15%-მა და ქალების 19%-მა მიმართა. თითქმის ორჯერ მეტმა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა ითხოვა მთავრობისაგან ფინანსური დახმარება, ვიდრე ეროვნებით ქართველმა.

საქართველოს მთავრობამ მრავალი პროგრამა განახორციელა, კორონავირუსით გამოწვეული შედეგების შესამსუბუქებლად. სახელმწიფო ანტიკრიზისული გეგმა ფულად დახმარებას მოიცავდა მათთვის, ვინც სამუშაო დაკარგა, ასევე, თვითდასაქმებულთათვის და მათთვისაც, ვინც უკვე დამოკიდებული იყო სახელმწიფოს სოციალურ დახმარებაზე. საერთო ჯამში, ქართველების დაახლოებით 42%-მა განაცხადა, რომ ცენტრალური ან რეგიონული მთავრობებისგან ფინანსური დახმარება მიიღო. ეს არის 25%-ით ზრდა 2020 წლის მაისთან შედარებით, როდესაც მოსახლეობის მხოლოდ 7% აცხადებდა ფინანსურ დახმარებაზე წვდომის შესახებ.

რაც შეეხება არაფულად დახმარებას, ქართველების 13%-მა განაცხადა ამგვარი დახმარების შესახებ სახელმწიფოსგან: 11%-მა მიიღო სურსათი, 3%-მა პერსონალური თავდაცვის საშუალებები, როგორცაა ხელთათმანები, ნიღბები, სადეზინფექციო საშუალებები, ხოლო 1%-ზე ნაკლებმა - პერსონალური ჰიგიენის საშუალებები (ჰიგიენური საფენები, ჰამპერსები და სხვა).

2%-ზე ნაკლებმა რესპონდენტმა დახმარება არასამთავრობო ორგანიზაციებისგან ან საზოგადოებრივი ჯგუფებისგან მიიღო.





# საოჯახო საქმეების გადანაწილება


კორონავირუსმა ის უდიდესი უთანასწორობა გამოავლინა, აუნაზღაურებდად შრომასთან მიმართებაში ქალებსა და კაცებს შორის რომ არსებობს. წინამდებარე ქვეთავი აჯამებს გამოკითხვის შედეგებს, თუ როგორ ნაწილდება საოჯახო საქმიანობები ქალსა და კაცს შორის და არსებულ უთანასწორობასთან დაკავშირებულ ფაქტორებს აღწერს.



საოჯახო საქმე


საოჯახო  
საქმეების გადანაწილება





დიაგრამა 11

შეიცვალა თუ არა ჩამოთვლილ აქტივობებზე თქვენ მიერ დათმობილი დრო კორონავირუსის გავრცელებამდე პერიოდთან შედარებით? (%)



ქალები უფრო მეტად არიან ჩართული თითქმის ყველა საოჯახო საქმეში, ვიდრე კაცები, გამონაკლისს წარმოადგენს შინაურ ცხოველებზე ზრუნვა. კაცების 47%-ს არასოდეს მიუღია მონაწილეობა სახლის დალაგებაში, 43%-ს კი არასდროს მოუშადადებია საქმელი, ხოლო ერთ მესამედს არასოდეს მიუღია მონაწილეობა ბავშვების მოვლაში. ამ მონაცემებისგან განსხვავებით, ქალების მხოლოდ მცირე რაოდენობა აღნიშნავს, რომ საოჯახო საქმეს არ ასრულებს. 2% არასოდეს ასუფთავებს, ხოლო 3% არასოდეს ამზადებს საქმელს.

რაც შეეხება სხვა ფუნქციებს, აქ უფრო ნაკლებია გენდერული სხვაობა, თუმცა კაცების ჩართულობა მაინც ნაკლებია. ქალების მხოლოდ მცირე რაოდენობა აღნიშნავს, რომ აუნაზღაურებელ მზრუნველობით შრომაში არ მონაწილეობს. მაგალითად, მათი 72% არასოდეს ზრუნავს ხანდაზმულ ან ოჯახის ავადმყოფ წევრებზე, კაცების 80%-თან შედარებით. ხოლო კაცების 12% აცხადებს, რომ ისინი არასოდეს დადიან საყიდლებზე სხვებისათვის მაშინ, როცა ქალების მხოლოდ 4% ამბობს, რომ არ ასრულებს ამ საქმეს.

ამგვარად, იკვეთება, რომ ბავშვებზე ზრუნვა მხოლოდ ქალის ვალდებულებაა. ბავშვებიან ოჯახებში მცხოვრები ქალების მხოლოდ 6%-ს არასოდეს მოუვლია ბავშვებისთვის, მაშინ, როცა მსგავს სიტუაციაში კაცების ერთი მესამეა. კაცების 18%-მა განაცხადა, რომ ისინი არასდროს ამეცადინებენ ბავშვებს, იგივე ფაქტი კი ქალების მხოლოდ 7%-მა აღნიშნა. ასევე, ქალების 7% არასოდეს თამაშობს ბავშვებთან, ხოლო კაცების 12%-ს არასდროს უთამაშია იმავე ოჯახში მცხოვრებ ბავშვებთან.

კაცების 17% ამბობს, რომ ისინი არ მონაწილეობენ თავისუფალ/დასასვენებელ აქტივობებში, როდესაც ამას ქალების თითქმის მეხუთედი (22%) აცხადებს.


# საოჯახო საქმეებზე პასუხისმგებლობის განაწილება

რესპონდენტებს ჰკითხეს, ოჯახის რომელი წევრი ხარჯავს ყველაზე მეტ დროს საოჯახო საქმიანობაზე (დიაგრამა 12). ქალებმა თქვეს, რომ მხოლოდ მათ აკისრიათ პასუხისმგებლობა ისეთ საქმეებზე, როგორცაა არაანაზღაურებადი ზრუნვის და მოვლის სამუშაო. ქალების 69%-მა აღნიშნა, რომ პასუხისმგებელია დასუფთავებაზე; 54% ბავშვებიან ოჯახებში პასუხისმგებელია ბავშვებთან თამაშზე; 46% ამბობს, რომ ავალია ბავშვების მოვლა-პატრონობა; და 44% ოჯახის სამეურნეო საქმიანობაზე ზრუნავს. ქალებისგან განსხვავებით, უფრო ნაკლები კაცია (12%) პასუხისმგებელი დასუფთავებაზე, ბავშვებთან თამაშზე (4%), ბავშვებზე ზრუნვაზე (5%) ან საშინაო საქმეების მართვაზე (35%).

გამოკითხულ რესპონდენტთაგან, საყიდლებზე სიარულის, შინაურ ცხოველებზე ზრუნვის, ბავშვების სწავლებისა და საჭმლის მომზადების პასუხისმგებლობას ოჯახის ყველა წევრი მეტნაკლებად თანაბრად ინაწილებს. ქალების 54% და კაცების 58% აღნიშნავს, რომ საყიდლებზე სიარულის მოვალეობას თანაბრად ინაწილებს ოჯახის ყველა წევრი. კაცების (38%) და ქალების (28%) თქმით, ოჯახის ყველა წევრი ჩართულია ბავშვების სწავლებაში. ქალების 40% და კაცების 53% კი აცხადებს, რომ ოჯახის ყველა წევრი თანაბრად მონაწილეობს საკვების მომზადებაში.

რესპონდენტებს ჰკითხეს, ვინ უფრო მეტად ეხმარებათ საოჯახო საქმეებში: პარტნიორები თუ ოჯახის სხვა წევრები? გამოკითხულთა 38%-ს პარტნიორები უფრო მეტად ეხმარებიან. მნიშვნელოვანია, რომ უფრო მეტი კაცი (43%), ვიდრე ქალი (34%) ამბობს, რომ საოჯახო საქმეებში მას პარტნიორი ეხმარება. 2020 წლის მაისის გამოკითხვასთან (39%) შედარებით, ქალების ნაკლები რაოდენობა აცხადებს, რომ დახმარებას პარტნიორისგან იღებს. საგულისხმოა, რომ ეს განსხვავება კვლევის ცდომილების ფარგლებში ჯდება.

ქალები (46%) და კაცები (45%) თითქმის ერთნაირად აღნიშნავენ, რომ ოჯახის სხვა წევრები ეხმარებიან. ამასთან, ნაკლები კაცი (7%) ვიდრე ქალი (11%) ცხოვრობს მარტო, პარტნიორების ან ოჯახის სხვა წევრების დახმარების გარეშე.




დიაგრამა 12

ბოლო რამდენიმე თვეზე თუ იფიქრებთ, ვინ ხარკავს სხვა ოჯახის წევრებთან შედარებით ყველაზე მეტ დროს შემდეგ აქტივობებში? (%) მხოლოდ ის რესპონდენტები, რომლებმაც დაასახელეს, რომ ამ საქმიანობით ოჯახში ვინმე არის დაკავებული

# კორონავირუსის პანდემიის გეგავლენა საოჯახო საქმეებისთვის დათმობილ დროზე

2020 წლის ოქტომბრის სწრაფი გენდერული შეფასების დროს, რესპონდენტებს სთხოვეს, შეედარებინათ დრო, რომელსაც საოჯახო საქმეებს უთმობდნენ კორონავირუსის გავრცელებამდე და მას შემდეგ (დიაგრამა 13). აღსანიშნავია, რომ ქვემოთ მოყვანილი ანალიზი იმ რესპონდენტებს გამოირიცხავს, რომლებიც, როგორც წესი, არ ასრულებენ ასეთ სამუშაოებს.



დიაგრამა 13

შეიცვალა თუ არა თქვენთვის ჩვეული დროის განაწილება ჩამოთვლილ საქმიანობებთან მიმართებაში კორონავირუსის შედეგად? (%)

საერთო ჯამში, ქალები და კაცები, რომლებიც საოჯახო საქმეში მონაწილეობენ, აცხადებენ, რომ პანდემიამდე უფრო ნაკლებ დროს უთმობდნენ ზემოთაღნიშნულ საქმიანობას. მნიშვნელოვანია, რომ ის ქალები და კაცები, რომლებიც საქმეს ინაწილებენ, დაახლოებით თანაბარ დროს ხარჯავენ. 2020 წლის მაისის მონაცემებთან შედარებით, უფრო ნაკლები რაოდენობის რესპონდენტი აცხადებს, რომ მეტი დრო ეხარჯება საოჯახო საქმიანობაზე.

რესპონდენტები ამბობენ, რომ პანდემიის დროს უფრო მეტ დროს ხარჯავენ ბავშვების მოვლაზე. ქალების და კაცების (32%) თქმით, ისინი ახლა მეტ დროს ატარებენ ბავშვებთან თამაშში, მათთან საუბარსა და კითხვაში. ქვეყნის მასშტაბით, 29% აღამიანებისა, ვინც ბავშვების მოვლაშია ჩართული, უფრო მეტ დროს ხარჯავს მათ გამოკვებაში, დაბანა-გასუფთავებასა და მოვლაზე. კაცების 26% და ქალების 30% იგივეს აღნიშნავს. ქალებისა და კაცების ორი მესამედი კი ამბობს, რომ მეტ დროს უთმობს ბავშვების მეცადინეობას.

სწრაფი გენდერული შეფასების წინა ტალღასთან შედარებით, უფრო ცოტა რესპონდენტი ამბობს, რომ მეტ დროს უთმობს ბავშვების მოვლას. მათი რაოდენობა კი, ვინც ამბობდა, რომ მეტ დროს უთმობდა ბავშვებთან თამაშს, 30% პუნქტით შემცირდა. იმავე რაოდენობით ნაკლები ქალი და კაცი ხარჯავს დროს ბავშვების სწავლა-დარიგებაზე.

საოჯახო საქმეებში ჩართული ქალისა და კაცის თანაბარი რაოდენობა აცხადებს, რომ მათი უმეტესი დრო საკვების მომზადებას, დასუფთავებას, საყიდლებსა და ოჯახის მენეჯმენტს ეთმობა. ქვეყნის მასშტაბით, გამოკითხული რესპონდენტების 12% უფრო მეტ დროს ხარჯავს საკვების მომზადებაზე; იგივე ტენდენციაზე საუბრობს ქალების 11% და კაცების 13%. მოსახლეობის 15%, მათ შორის ქალების 16% და კაცების 15%, აღნიშნავს, რომ სახლისა და საოჯახო ნივთების წმენდა-დასუფთავებაზე გაცილებით მეტი დრო სჭირდებათ. დაახლოებით ერთი მეათედი ქალების და კაცების უფრო მეტ დროს ხარჯავს საოჯახო საქმეების მართვაზე, 3-4% კი - საყიდლებზე. რაც შეეხება ბავშვების მოვლას, მხოლოდ მცირე რაოდენობა აღნიშნავს დროის მატებას 2020 წლის მაისის მონაცემებთან შედარებით.

მოსახლეობის შედარებით მცირე რაოდენობის (12%) თქმით, მათი მეტი დრო ავადმყოფებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრების მოვლას ეთმობა. იგივეს აღნიშნავს კაცების 9% და ქალების 14%. კაცების უფრო დიდი ნაწილი (11%) ამბობს, რომ ცხოველების მოვლაზე დახარჯული დრო გაცილებით გაიზარდა, ქალებთან (2%) შედარებით.

მეტი ქალი (23%) ვიდრე მამაკაცი (14%) თვლის, რომ გაცილებით მეტი დრო ეხარჯებათ სწავლაზე მაშინ, როცა კაცები შედარებით მეტ დროს თავისუფალი დროის გატარებას (19%) უთმობენ, ქალებისაგან (13%) განსხვავებით. საინტერესოა, რომ გაცილებით ცოტა ქალი და კაცი ამბობს, რომ მეტ დროს ხარჯავს დასვენებაზე, ვიდრე წინა კვლევის ტალღის დროს.



იმის გასარკვევად, თუ რომელი ჯგუფებისთვის გაიზარდა საოჯახო საქმიანობისთვის დათმობილი დრო, ჯამური ინდექსი შედგა. ინდექსის მნიშვნელობას ერთი ემატებოდა იმ შემთხვევაში, თუკი რესპონდენტი რომელიმე საოჯახო საქმეზე მეტ დროს ხარჯავს. ცვლადის მნიშვნელობები 0-დან 10-მდე იცვლება, სადაც ნული აღნიშნავს, რომ ზრდა არ ყოფილა, ხოლო 10 - დატვირთვამ ყველა საოჯახო საქმეზე მოიმატა.

საერთო ჯამში, ქართველთა 62% ამბობს, რომ იგივე დროს ხარჯავს საოჯახო საქმეზე, როგორც ადრე, პანდემიამდე. 2020 წლის მაისის ტალღასთან შედარებით, რაოდენობრივად განახევრდა იმ რესპონდენტთა რიცხვი, რომლებიც აღნიშნავენ, რომ განკუთვნილი დრო, სულ ცოტა, ერთ საქმიანობაზე მაინც მოემატათ.

ახალგაზრდა რესპონდენტები, თბილისისა და ქალაქების მოსახლეობა, ასევე - რესპონდენტები ბავშვებიან ოჯახებში, გაცილებით უფრო ხშირად აღნიშნავენ, რომ საოჯახო საქმეებისთვის განკუთვნილმა დრომ მოიმატა (დიაგრამა 14). 18-34 წლამდე რესპონდენტები დროის მატებას საშუალოდ 1.42 საქმიანობაზე აფიქსირებენ, უფროსი ასაკის ჯგუფებში კი ეს მაჩვენებლები უფრო დაბალია. რესპონდენტები თბილისში საშუალოდ - 1.31, სხვა ქალაქის ტიპის დასახლებებში - 1.22, ხოლო სოფლისმცხოვრებლები - 0.82 საქმეზე ხარჯავენ მეტ დროს პანდემიამდე პერიოდთან შედარებით. ამასთან, ბავშვებიან რესპონდენტებს დრო გაეზარდათ საშუალოდ 1.32 საქმიანობასთან მიმართებაში, ხოლო სხვა რესპონდენტებს - მხოლოდ 0.53 საქმიანობაზე.

**დიაგრამა 14**

საოჯახო საქმეების ინდექსის პროგნოზირებული ზრდა. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები წითლადაა შეფერილი



# კორონავირუსის პანდემიის შედეგად გამონწეული აუნაზღაურებელი საოჯახო საქმიანობის სტრუქტურის ცვლილება

ცალკე შევისწავლეთ მოსახლეობის ის ჯგუფები, რომელთა აუნაზღაურებელ საოჯახო შრომაზე კორონავირუსის პანდემია არაპროპორციულ ზეგავლენას ახდენს. ისეთი საქმიანობები, როგორცაა საკვების მომზადება, დალაგება, ოჯახური მეურნეობის გაძღოლა, საყიდლებზე სიარული, ოჯახის წევრებისთვის საყიდლების კეთება და შინაური ცხოველების მოვლა, აუნაზღაურებელ საქმიანობებად იქნა მიჩნეული. შემუშავდა იმ საოჯახო საქმიანობების სახეობათა საზომი ინდექსი, რომელთა შესრულებაც, რესპონდენტთა განცხადებით, უფრო მეტ დროს მოითხოვს მათგან.

საერთო ჯამში, საქართველოს მოქალაქეთა დაახლოებით 20%-მა განაცხადა, რომ საოჯახო საქმეების კეთებას მეტ დროს უთმობდნენ. წინა ტალღასთან შედარებით, თითქმის 20 პუნქტით შემცირდა იმ მოსახლეობის წილი, რომელიც აცხადებდა, რომ აუნაზღაურებელი საქმიანობის შესრულებაში მეტ დროს ხარჯავენ. ამჟამად რესპონდენტები დროს საშუალოდ, 0.38 აუნაზღაურებელ საქმეზე ხარჯავენ, რაც იმის ნახევარია, რაც 2020 წლის მაისში იყო (0.86)<sup>21</sup>.

ქალებმა და კაცებმა რიგი საოჯახო საქმიანობების გაზრდა თანაბრად აღნიშნეს. საშუალოდ, ქალი რესპონდენტები აცხადებდნენ, რომ ისინი დროს ხარჯავენ 0.43-ით მეტი საშინაო საქმიანობის შესრულებაში, ხოლო კაცები ამბობენ, რომ მათ მეტი დრო 0.33 სამუშაოს შესრულებაში ეხარჯებათ. ეს მნიშვნელოვანი ცვლილებაა მაისის თვესთან შედარებით, როცა ქალები აცხადებდნენ, რომ პანდემიამდელ სიტუაციაში დროს დაახლოებით 1.11 საოჯახო საქმეს უთმობდნენ, კაცები კი მეტ დროს 0.59 საოჯახო საქმეს უთმობდნენ. ამასთან, ოქტომბრის გამოკითხვის თანახმად, პანდემიის დროს 18-დან 34 წლამდე ასაკის რესპონდენტები საშუალოდ, 0.5-ით მეტ საოჯახო საქმეს ასრულებდნენ.

21 აქ და ქვემოთაც, მოცემულ ანალიზში რესპონდენტების დემოგრაფიული მახასიათებლების შესამოწმებლად გამოყენებულია ჰუასონის რეგრესიის მოდელი. იმისთვის, რათა ორი ტალღის მონაცემები შედარებადი ყოფილიყო, ანალიზიდან გამორიცხა „შემის/საწვავის შეგროვება“

---

# კორონავირუსის პანდემიის შედეგად გამონწვეული აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომის სტრუქტურის ცვლილება

ოჯახური შრომის მსგავსად, ზრუნვის აუნაზღაურებელი შრომა<sup>22</sup>, როგორც ჩანს, ერთნაირად გაიზარდა როგორც ქალების, ისე კაცებისათვის. გამოკითხულთა საშუალოდ, 20%-მა დაასახელა ზრუნვასთან დაკავშირებული რიგი საქმიანობები, რომელზე დათმობილი დროც პანდემიამდე პერიოდთან შედარებით უფრო გაიზარდა. ეს 40 პროცენტული პუნქტით ნაკლებია მაისის სიტუაციასთან შედარებით, როცა რესპონდენტების, დაახლოებით 60% ზრუნვის აუნაზღაურებელი შრომის, სულ მცირე, ერთ პუნქტს ასახელებდა.


ზრუნვასთან დაკავშირებული საქმიანობების რაოდენობა გაიზარდა ქალებისთვისაც და კაცებისთვისაც. საშუალოდ, ქალი რესპონდენტები აცხადებენ, რომ ისინი მეტ დროს 0.58 საქმიანობის შესრულებაში ხარჯავენ, ხოლო კაცები იგივეს 0.45 საქმიანობასთან დაკავშირებით აღნიშნავენ. ეს მნიშვნელოვანი ცვლილებაა მაისთან შედარებით, როცა ქალებმა 0.87 დამატებითი ზრუნვის საქმიანობა დააფიქსირეს, ხოლო კაცებმა დაახლოებით ერთი დამატებითი სახის საქმიანობა.

ეთნიკური წარმომავლობა, ოჯახის სიდიდე და ოჯახში ბავშვების ყოფნა მოვლის აუნაზღაურებელი სამუშაოს ტვირთის ზრდას უკავშირდება. საშუალოდ, გამოკითხული ეთნიკური ქართველები აღნიშნავენ 0.54 საქმიანობის ტიპის მატებას, ხოლო გამოკითხული ეთნიკური უმცირესობა - 0.28-ას. ორი, ან ორზე მეტწევრიანი ოჯახები დროს 1.21-ით მეტ საქმიანობაზე ხარჯავენ.

როგორც ჩანს, არაანაზღაურებადი საქმიანობის ზრდას, ძირითადად, ბავშვების მოვლა განაპირობებს. გამოკითხულთა ის ნაწილი, რომელთაც ბავშვები არ ჰყავთ, სულ რაღაც 0.02-ით გაზრდილ დამატებით საქმიანობას ასახელებენ მაშინ, როდესაც რესპონდენტებს, რომლებიც ბავშვებთან ერთად ცხოვრობენ, 0.82-ით მეტი სახის საქმიანობა დაემატათ, რაზეც ახლა მეტ დროს ხარჯავენ, ვიდრე კორონავირუსის პანდემიის გლობალურ აფეთქებამდე.

---

22 თამაში, ლაპარაკი და კითხვა, დარიგება, სწავლება, მეცადინეობა, ბავშვებზე ზრუნვა; ოჯახის ხანდაზმული/ავადმყოფი წევრის მოვლა



რესპონდენტებს ყველაზე შრომატევადი საქმეების შესახებაც ჰკითხეს. ქართველების დაახლოებით 19% საოჯახო საქმეების მართვას ასახელებს (დიაგრამა 15), რასაც მოსდევს დასუფთავება, დალაგება (13%) და ბავშვების მოვლის სხვადასხვა საქმიანობა.



უნდა ითქვას, რომ ყველაზე შრომატევად საქმიანობად საოჯახო საქმეებსა და ბავშვების მოვლას უფრო მეტად ქალები მიიჩნევენ, ვიდრე - კაცები. ქალები (21%) მეტად ასახელებენ დასუფთავებას შრომატევად საქმედ, ვიდრე კაცები (3%). კაცების უფრო მცირე ნაწილი (4%) თვლის ბავშვების მეცადინეობას შრომატევადად ქალებთან (12%) შედარებით. კაცების თითქმის მეოთხედმა საერთოდ ვერ დაასახელა რომელიმე შრომატევადი საქმიანობა.

■ საქართველო ■ ქალი ■ კაცი

დიაგრამა 15

კორონავირუსის გავრცელების შემდეგ რომელ საქმიანობებს უთმობთ ძირითად დროს (%)?





# ჯანმრთელობა და სერვისებზე ხელმისაწვდომობა

მოცემულ თავში აღწერილია, თუ როგორ იმოქმედა კორონავირუსის პანდემიამ საქართველოს მოქალაქეთა ჯანმრთელობასა და სწავდასწავა მომსახურებების ხელმისაწვდომობაზე. თავდაპირველად, განვიხილავთ პანდემიის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ზეგავლენას, შემდეგ კი სასიცოცხლოდ აუცილებელ პროდუქტებთან და მომსახურებებთან წვდომას.



ჯანმრთელობა

ჯანმრთელობა და სერვისებზე  
ხელმისაწვდომობა



# კორონავირუსის პანდემიის ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზეგავლენა

მოსახლეობის თითქმის ნახევრის (49%) თქმით, ფსიქოლოგიური, ემოციური, ან ფსიქიკური მდგომარეობა გაუუარესდათ კორონავირუსის პანდემიის შედეგად. პანდემიის გამო ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუარესებას კაცებზე (40%) მეტად ქალები (57%) უჩივიან.

იმ ჯგუფების გამოსავლენად, რომლებზეც პანდემიამ განსაკუთრებით იმოქმედა, ბინარული ლოგისტიკური რეგრესია გამოვიყენეთ (დიაგრამა 16). აღსანიშნავია, რომ სქესისა და ოჯახში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის არსებობის გარდა, სხვა არც ერთი ცვლადი პროგნოზირებს ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესების აღქმას. რესპონდენტები, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრთან ერთად ცხოვრობენ, მეტი ალბათობით (63%)

განიცდიან სტრესსა და შფოთვის, ვიდრე ისინი, ვისაც შშმ ოჯახის წევრი არ ჰყავთ (49%).


რესპონდენტებს, რომელთაც ბავშვები ჰყავთ, ჰკითხეს, განიცდიდნენ თუ არა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებს კორონავირუსის პანდემიის გამო. გამოკითხულთა დაახლოებით, 19%-მა ამ კითხვას დადებითად უპასუხა, 81%-მა კი უარყოფითად, საერთოდ ვერ უპასუხა მხოლოდ 1%-ზე ნაკლებმა. ამ პრობლემის შესახებ ქალები უფრო მეტად საუბრობენ (22%), ვიდრე კაცები (15%). თბილისელი მშობლები (26%) უფრო ხშირად აღნიშნავდნენ, რომ მათი შვილები ფსიქიკური ან ემოციური ზემოქმედების ქვეშ არიან, ვიდრე მშობლები სხვა ქალაქის ტიპის (17%), ან სოფლის ტიპის დასახლებიდან (15%).

პირველი ტალღის დროს ჩატარებულ სწრაფ გენდერულ შეფასებასთან შედარებით არსებული მცირე სხვაობა უფრო კვლევის ცდომილებას შეიძლება უკავშირდებოდეს. ქვეყნის მასშტაბით, იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შესახებ საუბრობენ, ოთხი პროცენტით გაიზარდა. არ იცვლება იმ კაცების წილი, რომლებიც ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესებას აღნიშნავენ, თუმცა 2020 წლის ოქტომბერთან შედარებით, ექვსი პროცენტით მეტი ქალი ადასტურებს ამ პრობლემას.

გამოკითხვაში, ასევე, იყო შეკითხვა, ხომ არ გამხდარა ავად თავად რესპონდენტი, ან მისი ოჯახის წევრი კორონავირუსით. ამ კითხვის მიზანია, გაზომოს, თვლის თუ არა რესპონდენტი, რომ ის პანდემიის გამო დაავადდა. ზოგადად, საქართველოს მოქალაქეთა 13% თვლის, რომ მათი ოჯახის წევრები პანდემიის გამო გახდნენ ავად, რაც ცხრაპროცენტიანი ზრდაა 2020 წლის მაისთან შედარებით.<sup>23</sup> ამ მხრივ სხვაობა არ აღინიშნებოდა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფს შორის.

მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ქვეყნის შიგნით სხვაგან საცხოვრებლად გადავიდა. გამოკითხულთა მხოლოდ 1%-მა თქვა, რომ საზღვარგარეთიდან კორონავირუსის პანდემიის გამო დაბრუნდა.

23 2020 წლის მაისის სწრაფ გენდერულ შეფასებაში, კითხვარი ცალკეულ შეკითხვებს მოიცავდა ინდივიდუალური და ოჯახის წევრების ავადმყოფობის გამოცდილების შესახებ. ამგვარად, შედარებისთვის შედგენილი ცვლადებია გამოყენებული.



დიაგრამა 16

რესპონდენტის ფსიქოლოგიურ/ფსიქიკურ/ემოციურ ჯანმრთელობაზე ზეგავლენის პროგნოზირებადი ალბათობა (%). მნიშვნელოვანი განსხვავებები აღნიშნულია წითლად





# სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მომსახურებები

რესპონდენტებს პირველადი მოხმარების პროდუქტისა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მომსახურების მიღებასთან დაკავშირებითაც ვკითხეთ, მაგალითად, როგორიცაა წყალი, საკვები, სამედიცინო და სოციალური მომსახურება, ჰიგიენური და სანიტარული პროდუქტები, განათლება.

2020 წლის მაისის გამოკითხვასთან შედარებით, საშუალოდ, უფრო მეტმა ადამიანმა განაცხადა, რომ გადაუღებელ მომსახურებასთან წვდომის კუთხით პრობლემა არ შექმნიათ. თითქმის არავის აღუნიშნავს წყლით მომარაგების შეწყვეტა (94%). მაისთან შედარებით 40%-დან 19%-მდე შემცირდა იმათი წილიც, ვისაც გარკვეული სირთულეები სურსათზე წვდომის გამო შეექმნათ. მაისთან (24%) შედარებით ნაკლები ადამიანი (12%) აცხადებს ჰიგიენურ საშუალებებზე წვდომის სირთულეზე. თვალსაჩინოა, რომ ვითარება გაუმჯობესდა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებზე წვდომის მხრივ: თუკი მაისში ქართველების თითქმის 50% გარკვეული, ან მნიშვნელოვანი სირთულეების შესახებ აღნიშნავდა პროდუქტის შეძენასთან დაკავშირებით, ოქტომბერში მათი რიცხვი 23%-მდე შემცირდა.


მოსახლეობის 41%-მა განაცხადა, რომ მათ სჭირდებოდათ სამედიცინო მომსახურება პირადად, ან - თავიანთი ოჯახის წევრებისთვის. 2020 წლის გაზაფხულზე, სამედიცინო მომსახურების

საჭიროებაზე ქვეყნის მოსახლეობის მესამედზე ნაკლები ლაპარაკობდა. იმ ადამიანების წილი, რომელთაც სამედიცინო მომსახურების მიღება გაუჭირდათ, შემცირდა. ოქტომბერში, ამას გამოკითხულთა 30% აღნიშნავდა, რაც 2020 წლის მაისთან შედარებით 10 პროცენტული პუნქტით ნაკლებია.

მოქალაქეთა 12%-მა სოციალური მომსახურება, თუ სოციალური დახმარება ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მიიღო. მხოლოდ 5%-მა აღნიშნა ამ მომსახურებებთან წვდომის სირთულეებზე.

რესპონდენტებს, ასევე, ჰკითხეს, ჰქონდათ თუ არა სირთულეები საგანმანათლებლო რესურსებთან წვდომის მხრივ პირადად, ან მათი ოჯახის წევრებს. მოქალაქეთა 40%-მა განაცხადა, რომ საგანმანათლებლო რესურსებთან წვდომას საჭიროებდნენ. მაშინ, როდესაც გამოკითხული ჯგუფების სამმა მეოთხედმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო რესურსების წვდომასთან დაკავშირებით პრობლემა არ შექმნიათ, მათმა 24%-მა, ვისაც ასეთი რესურსები ჭირდებოდა, განაცხადა, რომ ამ მხრივ მნიშვნელოვან დაბრკოლებებს წააწყდნენ.

მცირედენი გენდერული სხვაობაა, როცა საქმე სხვადასხვა პირველადი მნიშვნელობის მომსახურების ხელმისაწვდომობას ეხება. კაცებზე (20%) მეტმა ქალმა (25%) აღნიშნა, რომ გაუჭირდათ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებზე წვდომა. ამასთანავე, კაცებთან (36%) შედარებით უფრო მეტი ქალი (45%) საჭიროებდა სამედიცინო მომსახურებას, რომლის მისაღებად მესამედს პრობლემები შეექმნა. აღნიშნულ სირთულესთან დაკავშირებით კაცების მხოლოდ 26%-მა გამოხატა მსგავსი პოზიცია.



დიაგრამა 17

კორონავირუსის შედეგად, პირადად თქვენ თუ შეგვექმნათ რაიმე სირთულე სასიცოცხლო მნიშვნელობის მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით (%)? სწრაფი გენდერული შეფასების 2020 წლის მაისისა და ოქტომბრის ტაღლები

\* პასუხის ვარიანტი „საგანმანათლებლო რესურსები“ 2020 წლის მაისის ტაღლაში არ ყოფილა წარმოდგენილი

იმ ჯგუფების გამოსავლენად, რომელთაც პირველად მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის სირთულეები ჰქონდათ, ჯამური ინდექსი გამოითვალა. ვარიანტები „მნიშვნელოვანი სირთულეები“ კოდირებული იყო როგორც 2, „გარკვეული სირთულეები“ - როგორც 1, ხოლო „არავითარი სირთულე“ და „არ არსებობს ამ მომსახურების საჭიროება“- როგორც 0. ინდექსი 0-დან (დაბრკოლების გარეშე) 9-მდე (მომსახურებასთან წვდომის უმაღლესი ხარისხი) მერყეობს.

საბოლოო ჯამში, გამოკითხულთა 59%-მა განაცხადა, რომ აღნიშნულ მომსახურებებთან წვდომაში პრობლემები არ შექმნიათ. ეს 24-პუნქტიანი ზრდაა 2020 წლის მაისთან შედარებით, როცა მხოლოდ 38% აღნიშნავდა დაბრკოლებების არქონას. მიუხედავად ამისა, ქალები და დაუსაქმებელი რესპონდენტები, როგორც ჩანს, მეტ დაბრკოლებას წააწყდნენ ძირითადი სერვისების მიღებისას. პროგნოზირებული ინდექსი ქალებისთვის 1.19-ით განისაზღვრა მაშინ, როდესაც კაცებისთვის იგი 0.88-ს უტოლდება. დაუსაქმებელ რესპონდენტებს უფრო მეტი პრობლემები შეექმნათ, ვიდრე დასაქმებულ, ან ეკონომიკურად არააქტიურ რესპონდენტებს. დაუსაქმებელი რესპონდენტების პროგნოზირებული ინდექსი 1.38-ს შეადგენს, დასაქმებულები კი მთლიანობაში ინდექსით 0.9 შეფასდნენ, ხოლო ეკონომიკურად პასიური რესპონდენტების მომსახურებებზე მისაწვდომობის ინდექსი 1.15-ია.









# უსაფრთხოება და დისკრიმინაციის შემთხვევები

ის გარემოება, რომ კორონავირუსის პანდემიის გამო გაცილებით მეტი ადამიანი რჩება სახლებში, ოჯახში ძალადობისა და დისკრიმინაციის საფრთხეს ამწვავებს მოწყვლადი ადამიანებისთვის, განსაკუთრებით კი- ქალებისთვის<sup>24</sup>. შეფასების ამ ნაწილში განხილულია საქართველოს მოსახლეობის წარმოდგენები პანდემიის შედეგად დისკრიმინაციისა და ძალადობის გაზრდის შესახებ.

---

24 Brad Boserup, Mark McKenney, and Adel Elkbuli, 'Alarming Trends in US Domestic Violence during the COVID-19 Pandemic', The American Journal of Emergency Medicine, 2020; Caroline Bradbury-Jones and Louise Isham, 'The Pandemic Paradox: The Consequences of COVID-19 on Domestic Violence', Journal of Clinical Nursing, 2020.



შემთხვევები

უსაფრთხოება და დისკრიმინაციის  
შემთხვევები

# დისკრიმინაცია




დიაგრამა 18

იგრძენით თუ არა დისკრიმინაციის, ცუდი დამოკიდებულების რომელიმე ფორმის ზრდა საქართველოში კორონავირუსის გავრცელების შემდეგ? (%)?

რესპონდენტებს ჰკითხეს, სმენიათ ან უგრძვნიათ თუ არა დისკრიმინაციის რომელიმე ფორმის შემთხვევათა ზრდის შესახებ საქართველოში კორონავირუსის გავრცელების შემდეგ. გამოკითხულთა დაახლოებით 11%-მა ამ კითხვას დადებითად უპასუხა მაშინ, როდესაც უმრავლესობამ (86%) განაცხადა, რომ მსგავსი რამ არ უგრძვნია. 3%-ს ამ კითხვაზე პასუხი არ ჰქონდა. წინა ტალღის სწრაფ გენდერულ შეფასებასთან შედარების საფუძველზე ირკვევა, რომ აბსოლუტური რაოდენობა მხოლოდ 2%-ით გაიზარდა, რაც კვლევის ცდომილების ფარგლებში თავსდება.

როგორია დისკრიმინაციის აღქმა მოსახლეობის განსხვავებულ ჯგუფებში? მიუხედავად იმისა, რომ დემოგრაფიულ ჯგუფებს შორის მცირეოდენი სხვაობაა, თბილისის მცხოვრებლები, ახალგაზრდები და დასაქმებული რესპონდენტები შედარებით ხშირად ამბობენ, რომ დისკრიმინაციის ფაქტების მომატების შესახებ სმენიათ (დიაგრამა 18). 34 წლამდე ასაკის გამოკითხულთა 15% აღიარებს, რომ დისკრიმინაციის პირადი გამოცდილება აქვთ, ხოლო სხვა ასაკობრივ ჯგუფებში ასეთი აღამიანების წილი 10% ან ნაკლებია. გამოკითხვის თანახმად, თბილისის მცხოვრებლებს ორჯერ მეტად განუცდიათ დისკრიმინაცია სხვა საქალაქო დასახლების მცხოვრებლებთან შედარებით. ასევე, დაუსაქმებელ, ან ეკონომიკურად პასიურ რესპონდენტებთან (6-7%) შედარებით, უფრო მეტად დასაქმებული რესპონდენტები (14%) აცხადებენ, რომ თავად განუცდიათ, ან სმენიათ დისკრიმინაციის შესახებ.





## ოჯახში ძალადობა


კორონავირუსის შემთხვევების ზრდასთან ერთად, ადამიანები სულ უფრო მეტ დროს ატარებენ შინ და ოჯახის სხვა წევრებთან ურთიერთობით შემოიფარგლებიან. ამდენად, ზოგიერთი ოჯახში ძალადობის დიდი რისკის ქვეშ ექცევა. რესპონდენტებს კითხეს, განუცდიათ ან სმენიათ თუ არა, ოჯახში ძალადობის ზრდის შესახებ კორონავირუსის გავრცელების შემდეგ. რესპონდენტების ერთმა მეხუთედმა (20%) აღნიშნა, რომ ასეთი ფაქტების შესახებ სმენია. მართალია, ეს მაჩვენებელი 4 პროცენტული პუნქტით აღემატება მაისის მონაცემებს, მაგრამ სხვაობა, შეგვიძლია, შეფასების ცდომილებად განვიხილოთ.

კაცებთან შედარებით უფრო მეტი ქალი აღნიშნავს, რომ სმენია ან უგრძნია ოჯახში ძალადობის მომატებული შემთხვევების შესახებ. ქალების 23%-მა და კაცების 17%-მა განაცხადეს, რომ უგრძნიათ ან სმენიათ ოჯახში ძალადობის გავრცელების გაზრდის შესახებ საქართველოში კორონავირუსის გავრცელების შემდეგ.

რაც შეეხება მოსახლეობის სხვა ჯგუფებს, უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტები უფრო დიდი ალბათობით ფლობენ ინფორმაციას ოჯახში ძალადობის ზრდის შესახებ. უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტების 28%-მა შეკითხვას დადებითად უპასუხა, მაშინ როდესაც საშუალო და პროფესიული განათლების მქონე რესპონდენტებში ეს წილი 16%-ია.

## ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების მომსახურებების შესახებ ინფორმირებულობა

სმენია თუ არა საქართველოს მოსახლეობას იმ მომსახურების შესახებ, რომელსაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს სთავაზობენ? რესპონდენტებს ჰკითხეს, რამდენად იცოდნენ მათ, როგორ მიემართათ პოლიციისთვის, ფსიქოლოგიური დახმარებისთვის, ცხელი ხაზისა ან თავშესაფრისთვის, თუ ისინი ოჯახში ძალადობას განიცდიდნენ ან მსგავსი შემთხვევების მოწმენი იყვნენ. უმეტესობისთვის (88%) ცნობილია პოლიციის სამსახურების შესახებ, ხოლო 57%-მა იცის, როგორ დაუკავშირდეს ცხელი ხაზის სამსახურებს. გაცილებით მცირე რაოდენობისთვისაა ცნობილი ფსიქოლოგიური დახმარების სამსახურის (38%) და კრიზისის ცენტრის შესახებ. საყურადღებოა, რომ გამოკითხვის წინა ტალღასთან მიმართებით მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა.



მცირედი განსხვავებაა ქალებისა და კაცების ინფორმირებულობას შორის ოჯახში ძალადობის მსხვერპლების დასახმარებლად არსებული მომსახურებების შესახებ. კაცებთან შედარებით (36%), ქალების ოდნავ მეტი წილია (40%) ინფორმირებული ფსიქოლოგიური მომსახურების შესახებ. ასევე, ქალებზე (32%) უფრო ნაკლებმა კაცმა (27%) იცის, როგორ მოიძიოს თავშესაფარი და კრიზისის ცენტრები ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის.

იმის გასაზომად თუ, რომელი ჯგუფია უფრო მეტად ინფორმირებული დახმარების სამსახურების შესახებ, შეიქმნა ინდექსი, რომელიც ითვლის, რამდენი მომსახურებაა ცნობილი რესპონდენტისათვის. მაჩვენებელი იცვლება 0-დან 4-მდე, სადაც 0 - არცოდნას, ხოლო 4- სრულფასოვან ცოდნას აღნიშნავს.

საერთო ჯამში, ქართველების 14%-მა უჩვენა 0 ინფორმირებულობის სკალაზე, ანუ არ იცოდნენ დახმარების სამსახურების შესახებ, ხოლო ერთმა მეოთხედმა სრული ცოდნა გამოამჟღავნა. კაცები, ეთნიკური უმცირესობები, უმაღლესი განათლების არმქონენი და 45-54 წლის ასაკის რესპონდენტები დახმარების მომსახურებების შესახებ უფრო ნაკლებ ინფორმირებულები იყვნენ. საშუალოდ, ქალებმა იცოდნენ 2.23 მომსახურების შესახებ. ეროვნებით ქართველებმა - 2.12 მომსახურების შესახებ, ხოლო ეთნიკურმა უმცირესობებმა - მხოლოდ 1.65 მომსახურების შესახებ. უმაღლესი განათლების მქონე გამოკითხულებმა დაახლოებით 2.24 დახმარების მომსახურების შესახებ იცოდნენ, ხოლო უმაღლესი განათლების არმქონენი დაახლოებით 1.97 მომსახურების შესახებ იყვნენ ინფორმირებული.

დიაგრამა 19

ინფორმირებულობის ინდექსის პროგნოზირებული მაჩვენებელი. მნიშვნელოვანი განსხვავებები აღნიშნულია წითლად



# დისტანციური სწავლება




კორონავირუსის პანდემიამ საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა მნიშვნელოვნად დააზარალა. გაზაფხულზე ყველა სკოლა და უნივერსიტეტი დისტანციურ სწავლებაზე გადავიდა. ხოლო შემოდგომის სემესტრში დიდი ქალაქების სკოლები და უმაღლესი განათლების დაწესებულებები მთავრობის განკარგულების საფუძველზე დისტანციურ სწავლებას შეუდგნენ. მართალია, ინტერნეტი უკვე მეტნაკლებად ხელმისაწვდომია და საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 89%-ს აქვს მობილურის ან სტაციონარულ ქსელზე წვდომა, მაგრამ კავშირის ხარისხი კვლავაც პრობლემად რჩება.

სკოლის მოსწავლეები საქართველოს მოსახლეობის სამი მეოთხედის ოჯახში ცხოვრობენ. როცა ასეთ რესპონდენტებს ვკითხეთ, რამდენად მიუწვდებოდათ ხელი ონლაინ გაკვეთილებსა თუ სასწავლო მასალებზე, 96%-მა დადებითად უპასუხა. რესპონდენტთა სიმცირის გამო რთულია იმის შეფასება, რომელ ჯგუფს არა აქვს ონლაინ განათლებაზე წვდომა, თუმცა ფაქტია, რომ სოფლად მცხოვრები ბავშვებისთვის უფრო ნაკლებად ხელმისაწვდომია ონლაინ გაკვეთილები.

რას მიიჩნევს საქართველოს მოსახლეობა დისტანციური განათლების გამოწვევად? სკოლის მოსწავლეებთან მცხოვრები ოჯახების რესპონდენტებს ვკითხეს, თუ რა პრობლემებს აწყდებოდნენ ბავშვები. ასეთი რესპონდენტების 31%-მა აღნიშნა, რომ ბავშვები ვერ ახდენდნენ ონლაინგაკვეთილზე კონცენტრირებას (დიაგრამა 20), 16%-მა კი ინტერნეტკავშირის პრობლემები დაასახელა. სრულიად საპირისპიროდ, 11% დისტანციური სწავლებისთვის მასწავლებლების მოუმზადებლობას ასახელებდა, ხოლო სხვებმა მიუთითეს საჭირო აღჭურვილობის არარსებობა (9%), ონლაინ მასალების გამოყენების სურვილის უქონლობა (5%) და ტექნიკური საშუალებების მოხმარების არცოდნა (2%).

აღნიშნული რესპონდენტების დაახლოებით ერთმა მესამედმა (34%) თქვა, რომ დისტანციური სწავლების დროს დაბრკოლება არ შექმნია, ხოლო 6%-მა განაცხადა, რომ კითხვაზე პასუხი არ აქვს. უფრო ხშირად კაცები ამბობდნენ, რომ არ იცოდნენ დისტანციური სწავლებისას ოჯახში მცხოვრები ბავშვების პრობლემების შესახებ.



დიაგრამა 20

რა იყო ყველაზე დიდი გამოწვევა თქვენი ოჯახისთვის ბავშვების ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებით? (%)



# სოციალიზაცია

რესპონდენტებს ჰკითხეს, ჰქონდათ თუ არა სხვა ადამიანებთან უშუალო ურთიერთობა გასული კვირის მანძილზე. შედეგად, ველის მიმდინარეობის პერიოდში (5-11 ოქტომბერი), მოსახლეობის 26% სტუმრობდა სხვებს ოჯახებში, ხოლო 61%-მა დრო სახლის გარეთ, სხვა ადამიანების გარემოცვაში გაატარა. სულ 61%-მა უპასუხა, რომ პანდემიის პერიოდში, ოჯახის გარეთ, სხვებთან ურთიერთობა ჰქონდათ.

სოციალიზაცია სახლს გარეთ, სხვა ადამიანებთან



სოციალიზაცია სხვასთან სახლში



■ საქართველო ■ ქალი ■ კაცი

დიაგრამა 21


სოციალიზაცია სხვა ადამიანებთან გასული კვირის განმავლობაში (%).

კაცები უფრო ურთიერთობდნენ სხვებთან, ვიდრე - ქალები. გამოკითხული კაცების ერთმა მესამედმა აღნიშნა, რომ სხვების ოჯახებს სტუმრობდნენ, ხოლო იგივე მხოლოდ ქალების მესუთედმა (21%) თქვა. კაცების სამი მეხუთედი (73%) ამბობს, რომ სხვებს ოჯახებს გარეთ შეხვედრია მაშინ, როდესაც იგივეს ქალების მხოლოდ ნახევარი აღნიშნავს.


იმისათვის, რომ გაგვეგო, მოსახლეობის რომელი ჯგუფი უფრო მიმართავდა სოციალიზაციას, ბინარული ცვლადი აიგო. ეს უკანასკნელი მიუთითებს, ესტუმრა თუ არა რესპონდენტი ვინმეს, ან შეხვდა თუ არა სხვა ადამიანებს სახლს გარეთ. მთლიანობაში, 54 წელზე ნაკლები ასაკის ხალხი, კაცები, დასაქმებულები, და შშმ პირებთან მცხოვრები რესპონდენტები უფრო მეტად გადიოდნენ შინიდან. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანები გასართობად ნახულობდნენ სხვებს. მოსახლეობის დიდი ნაწილი სამუშაო ადგილებს დაუბრუნდა და დასაქმებულებს შინიდან გასვლა და ძალაუფლებურად - სხვა ადამიანების ნახვა მოუწიათ.



კაცი



ქალი



● სოციალიზაცია სახლის გარეთ

● სოციალიზაცია სახლში

დიაგრამა 22

რესპონდენტების პროპორცია, ვისაც კონტაქტი ჰქონდა სხვა ადამიანებთან (%). „სი-არ-არ-სი საქართველოს“ კორონავირუსის მონიტორინგის და სწრაფი გენდერული შეფასების 2020 წლის ოქტომბრის ტალღის მონაცემები. ერთვარსკვლავიანი აღნიშვნა „სი-არ-არ-სიის“ კორონავირუსის მონიტორინგის შედეგებს მიუთითებს, ორმაგი ვარსკვლავი კი - სწრაფი გენდერული შეფასების 2020 წლის ოქტომბრის ტალღას

რამდენადაც სწრაფი გენდერული შეფასების წინა ტალღა სოციალიზაციის საკითხებს არ შეიცავდა, სოციალიზაციის დინამიკის შეფასებისთვის „სი-არ-არ-სი საქართველოს“ კორონავირუსის მონიტორინგის მონაცემები გამოვიყენეთ<sup>25</sup>. კორონავირუსის მონიტორინგის ბოლო ტალღა ივნისის დასაწყისში (დიაგრამა 22) განხორციელდა. მონაცემები აჩვენებს, რომ მონიტორინგის ბოლო ტალღასთან შედარებით (2020 წლის ივნისის დასაწყისი) მათი წილი, ვინც სხვებს ოჯახებს გარეთ ხვდებოდნენ, 9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა, ხოლო მათი წილი, ვინც სხვების სახლებს სტუმრობდნენ, 7 პუნქტით შემცირდა. შედეგები აჩვენებს, რომ კაცები ქალებზე უფრო ხშირად გადიოდნენ შინიდან.

25 დასტინ გილბრეტი და რატი შუბლაძე, „ხალხის აზრის გაგება კორონავირუსზე საქართველოში“ (თბილისი: კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი-საქართველო, 2020).

# დასკვნა

ზემოთ მოყვანილი ანალიზიდან რიგი დასკვნების გამოტანა შეიძლება. საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობასთან და საარსებო საშუალებებთან მიმართებაში:



აღნიშნულ ფაქტს ანაზღაურებად სამუშაოსთან მიმართებაში არაფერი შეუცვლია. საგულისხმოა, რომ გამოკითხული ქალები და კაცები ერთნაირად ფიქრობენ.

- შედარებით ნაკლებია იმ ადამიანთა წილი, რომლებმაც 2020 წლის მაისის შემდეგ სამუშაო დაკარგეს. ეს, შეიძლება, იმით იყოს განპირობებული, რომ მას შემდეგ, რაც მკაცრი შეზღუდვები მოიხსნა, სამუშაო ადგილების აღდგენის ნელი ტენდენცია მაინც შეინიშნება.
- წინა ტალღის მსგავსად, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს კორონავირუსის პანდემია უფრო მეტად შეეხოთ. ეთნიკურად ქართველებისგან განსხვავებით, მათ სამჯერ უფრო მეტად განაცხადეს სამსახურის დაკარგვის შესახებ.
- რესპონდენტები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ რაიმე სახის სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდნენ, ყველაზე მეტად დაზარალდნენ. იმ მეწარმეთა 29%-მა, რომლებიც სხვებსაც ასაქმებდნენ, პანდემიის შედეგად თავად დაკარგეს სამსახურები. კომპანიებში, ბიზნეს სექტორში, ოჯახში დასაქმებულ და თვითდასაქმებულ რესპონდენტებს პანდემია შედარებით ნაკლებად შეეხოთ.
- უმაღლესი განათლების არმქონე ქალებმა და მათ, რომლებიც ბავშვებიან ოჯახებში ცხოვრობენ, შემოსავლების კლების კომპენსირების მიზნით, ალტერნატიულ წყაროებს მიმართეს.
- საქართველოს დასაქმებულ მოსახლეობას ადევნებს, რა ბედი ეწევა მათ შემოსავალს, თუკი მუშაობას ვერ შეძლებენ. უმეტესობას მიაჩნია, რომ თუკი მინიმუმ ორი კვირის განმავლობაში არ იმუშავენ, ანაზღაურებას ვერ მიიღებ.

#### **რაც შეეხება საოჯახო და სახლის საქმიანობას:**

- სწრაფი გენდერული შეფასების პირველი ტალღისგან განსხვავებით, აუნაზღაურებელი საოჯახო საქმიანობისა და ზრუნვის შრომის ვალდებულება კაცებისა და ქალების შემთხვევაში თანაბრად გაიზარდა. მართალია, საოჯახო საქმეებზე პასუხისმგებლები, ძირითადად, ქალები არიან, ისინი, ვინც ამ ვალდებულებას ინაწილებენ, სამუშაოში თანაბრად მონაწილეობენ.
- აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომა მნიშვნელოვნად გაიზარდა მრავალრიცხოვან და ბავშვიან ოჯახებში. ბავშვის მოვლა, ძირითადად, ქალის მოვალეობად რჩება.

- 2020 წლის ოქტომბრის კვლევაში გამოკითხული ქალებისა და კაცების 17%-მა აღნიშნა, რომ 2020 წლის მარტიდან COVID-19 ეპიდემიის გავრცელების შემდეგ სამსახური დაკარგა. საქართველოს მოსახლეობის 32%-ის თქმით, მათი სამუშაო საათები შემცირდა, თუმცა სამუშაოს შენარჩუნება მოახერხეს. საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევრისთვის (48%)

**პანდემიასთან ასოცირებული სტრესი საზიანო აღმოჩნდა ქალების და კაცების ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური კეთილდღეობისთვის:**

- Covid-19-ის პანდემიამ საქართველოს მოსახლეობის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. მოსახლეობის თითქმის ნახევარმა (49%) განაცხადა, რომ კორონავირუსის პანდემიამ მათ ფსიქოლოგიურ, ემოციურ ან ფსიქიკურ მდგომარეობაზე იმოქმედა.
- უფრო მეტად ქალები (75%), ვიდრე - კაცები (40%) აღნიშნავენ, რომ პანდემიამ მათზე ფსიქოლოგიური ზეგავლენა იქონია. ბავშვებიანი რესპონდენტები უფრო მეტად განიცდიდნენ სტრესს, შფოთვისას ან ფსიქიკურ პრობლემებს.

**სასიცოცხლო მნიშვნელობის მომსახურება უფრო მისაწვდომი გახდა ქართველებისთვის:**

- 2020 წლის მაისის კვლევასთან შედარებით, ნაკლებმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ სასიცოცხლოდ ისეთ მნიშვნელოვან სერვისებზე, როგორცაა საკვები, სამედიცინო დახმარება ან სოციალური მხარდაჭერა, ხელი არ მიუწვდებოდა.
- შეინიშნება ტენდენცია, რომ მსგავსი პრობლემები ქალებსა და უმუშევარ რესპონდენტებს უფრო მეტად შეეხო.

**ზოგიერთი ადამიანი თვლის, რომ კორონავირუსის პანდემიის დაწყებიდან დღემდე გაიზარდა დისკრიმინაციისა და ოჯახში ძალადობის ფაქტები:**

- საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 11%-ს სმენია, ან უგრძვნია დისკრიმინაციის ზრდა მას შემდეგ, რაც კორონავირუსის პანდემია დაიწყო.
- უფრო მეტი ქალი (23%), ვიდრე მამაკაცი (17%) აღნიშნავს, რომ სმენია ან უგრძვნია ოჯახში ძალადობის შემთხვევების ზრდა პანდემიის შედეგად.

- საქართველოს მოსახლეობა, უმეტესწილად, ფლობს ინფორმაციას ძალადობის მსხვერპლთა დახმარების შესახებ, თუმცა ეს რიცხვი საგრძობლად მცირეა ეთნიკური უმცირესობებისა და უმალღესი განათლების არმქონე მოსახლეობაში.

**ონლაინ განათლებასთან დაკავშირებით,**

- იმ რესპონდენტთა 96%-მა, რომლებსაც ოჯახებში სკოლის ასაკის ბავშვები ჰყავთ, აღნიშნა, რომ სასწავლო მასალებზე ხელი ინტერნეტით მიუწვდება. ამ რესპონდენტთა დაახლოებით 60%-მა დაასახელა პრობლემები, რასაც სწავლის პროცესში წააწყდნენ, კერძოდ: კონცენტრირების სიძნელე ბავშვებისთვის, არასტაბილური ინტერნეტი, მასწავლებელთა მოუმზადებლობა ონლაინ გაკვეთილებისთვის და სხვა.

**მიუხედავად იმისა, რომ კორონავირუსის პანდემიამ და ვირუსის გავრცელების შესაჩერებლად გატარებულმა ზომებმა მნიშვნელოვნად შეზღუდა სოციალიზაციის შესაძლებლობები, წინა თვეებთან შედარებით, უფრო მეტმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ უშუალოდ ჰქონდა ურთიერთობა სხვა ადამიანებთან.**

- ოქტომბრის დასაწყისში, სოციალიზაციის მიზნით, მოსახლეობის დაახლოებით 25% სტუმრად იმყოფებოდა სხვა ადამიანებთან სახლში. დაახლოებით 61%-მა პროცენტმა კი აღნიშნა, რომ საკუთარ სახლს გარეთ ნახეს სხვა ადამიანები.
- 54 წლამდე ადამიანებს, კაცებს, დასაქმებულებს და მათ, ვისაც ოჯახში შეზღუდული შესაძლებლობის პირი ჰყავთ, უფრო ხშირად უწევდათ სახლიდან გასვლა.

# ბიბლიოგრაფია

Boserup, Brad, Mark McKenney, and Adel Elkbuli. 'Alarming Trends in US Domestic Violence during the COVID-19 Pandemic'. The American Journal of Emergency Medicine, 2020.

Bradbury-Jones, Caroline, and Louise Isham. 'The Pandemic Paradox: The Consequences of COVID-19 on Domestic Violence'. Journal of Clinical Nursing, 2020.

CRRC-Georgia. 'Rapid Gender Assessment of COVID-19 Situation in Georgia'. Tbilisi: UN Women, 2020. <https://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2020/rga%20unw-geo.pdf?la=ka&vs=0>.

Government of Georgia. 'Anti-Crisis Economic Plan', 2020. <https://stopcov.ge/ka/Gegma>.

Johns Hopkins University Medicine. 'COVID-19 Dashboard by the Center for Systems Science and Engineering (CSSE).', 2020. <https://coronavirus.jhu.edu/map.html>.

Keshelava, Davit, and Yasya Babych. 'Riding Out the Pandemic Storm: Trends, Projections and Uncertainties'. Tbilisi: International School of Economics, 2020.

Khurshudyan, Isabelle. 'In Georgia, Tourism's "new Reality" Includes Selective Guest List and Pitch as Healthy Haven'. The Washington Post, 30 May 2020. [https://www.washingtonpost.com/world/europe/on-the-black-sea-georgia-rebrands-itself-as-a-holiday-haven-from-the-pandemic/2020/05/29/a41ffd0e-9f6d-11ea-be06-af5514ee0385\\_story.html](https://www.washingtonpost.com/world/europe/on-the-black-sea-georgia-rebrands-itself-as-a-holiday-haven-from-the-pandemic/2020/05/29/a41ffd0e-9f6d-11ea-be06-af5514ee0385_story.html).

National Centre for Disease Control and Public Health. 'Confirmed Cases of COVID-19 in Georgia', 2020. <https://www.ncdc.ge/Pages/User/News.aspx?ID=137c9b94-0be5-4b2b-bfd4-135fa4ee00de>.

National Statistics Office of Georgia. 'Gross Domestic Product (GDP)', 2020. <https://www.geostat.ge/en/modules/categories/23/gross-domestic-product-gdp>.

The New York Times. 'Covid World Map: Tracking the Global Outbreak'. The New York Times, 28 January 2020, sec. World. <https://www.nytimes.com/interactive/2020/world/coronavirus-maps.html>.